საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 46 (1062) | ოთხშაბათი, 26 აპრილი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ,

მსურს გამოვხატო უდიდესი მადლიერება თქვენდამი იმის გამო, რომ მიიღეთ მონაწილეობა უმაღლესი დონის შეხვედრაში, რომელიც მიეძღვნა სოციალური განვითარების საკითხებს. თქვენმა დასწრებამ და გამოსვლამ კოპენჰაგენში უდიდესი წვლილი შეიტანა ამ შეხვედრის წარმატებაში. თქვენი პირადი მონაწილეობა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ თქვენი ქვეყანა მთლიანად უჭერს მხარს ამ სამიტის დეკლარაციას და მოქმედების პროგრამის სულისკვეთებას.

სამიტის მონაწილე სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა ჯერ არნახული სიმრავლე არის მისი დღის წესრიგის პოლიტიკური მნიშვნელობის ნათელი გამოხატულება. სამიტის რეკომენდაციები უზრუნველყოფს მონაწილე ქვეყნებს, გაეროს, მის ფონდებსა და პროგრამებს, სპეციალიზებულ ორგანიზაციებს მოქმედების გეგმით სოციალური განვითარების სფეროში. მე უკვე შევიმუშავე კოორდინირებული პასუხისმგებლობის გარანტირებული პროცესი, რომელიც ემყარება შრომის განაწილებას გაეროს სისტემაში, ვაპირებ წარმოვადგინო წინადადებები ამ მიმართულებით მომავალ გენერალურ ასამბლეაზე.

ჩვენს წინაშე მდგომი რთული ამოცანების გადაწყვეტა სოციალური განვითარების საკითხებში მოითხოვს მონაწილეთა გაძლიერებულ ძალისხმევას ყველა დონეზე. ამ თვალსაზრისით თქვენი პირადი მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა მეტად ფასეული იქნება.

იმედი მაქვს, რომ წლეულს ოქტომბერში მექნება სასიამოვნო შესაძლებლობა მოგესალმოთ გაეროს ნიუ-იორკის შტაბბინაში, როცა ჩამობრძანდებით გაეროს 50 წლისთავის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად.

თქვენო აღმატებულებავ, მიიღეთ ჩემი თქვენდამი უღრმესი პატივისცემა.

ბუტროს ბუტროს ღალი.

ტრადიციული მეგობრობის ერთგულების ნიშნად

სანქტ-პეტერბურგისა და საქართველოს კულტურის მოღვაწეთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციის პატივისცემისა და ერთგულების ნიშნად, რომელიც სათავეს შორეულ წარსულში იღებს, სანქტ-პეტერბურგის მერიამ თბილისის შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრებისათვის 50 მილიონი რუბლი გაიღო.

23 აპრილს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სანქტ-პეტერბურგის ვიცე-მერი ვლადიმერ იაკოვლევი, რომელიც სწორედ ამ ჰუმანური აქციის ეგიდით ეწვია ჩვენს დედაქალაქს.

ქვეყნისათვის ამ მძიმე პერიოდში თანადგომისა და მხარდაჭერისათვის სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოთქმული გულწრფელი მადლობის პასუხად, ბატონმა იაკოვლევმა განაცხადა, რომ ეს არ არის მხოლოდ მატერიალური დახმარება. ეს არის ჩვენი სულიერი სიახლოვისა და კულტურული კავშირის აღდგენისა და განვითარებისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

შეხვედრაზე ისაუბრეს სანქტ-პეტერბურგსა და თბილისში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების ტენდენციებზე. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად რთული ეკონომიკური ვითარებისა, ქვეყანამ შეძლო შეენარჩუნებინა კულტურის კერები და ყველა ღონეს ხმარობს მათი შემდგომი აღორძინებისათვის.

გულთბილი და მეგობრული შეხვედრის დასასრულს გამოითქვა რწმენა, რომ ორი კულტურის ტრადიციული მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება.

განისაზღვრება საქართველოსთან ენერგეტიკის დარგში ურთიერთობის პერსპექტივა

25 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბერნარ ფასიე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო დიდი შვიდეულის ქვეყნების ფარგლებში არსებულ ენერგეტიკულ პრობლემებზე მომუშავე ორგანოს „ე-7" დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აღინიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის მთავარი მიზანია ენგურჰესზე არსებული ვითარების შესწავლა და საქართველოსთან ენერგეტიკის დარგში ურთიერთობის პერსპექტივის განსაზღვრა.

ხსოვნის დღეს

24 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მოინახულა აფხაზეთში დაღუპულ ქართველ მეომართა საფლავები და პატივი მიაგო მათ.

შემდეგ საბავშვო ქალაქ მზიურში სახელმწიფოს მეთაური მივიდა ცნობილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის საფლავზე და ყვავილებით შეამკო იგი.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 21 აპრილის სხდომაზე დეპუტატმა ბორის კაკუბავამ გააკეთა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქუთაისში მყოფ ლტოლვილებს 4 თვეა არ მიუღიათ ფულადი დახმარება და მეტად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან. იმავე სხდომაზე პარლამენტის წევრმა ირაკლი წერეთელმა, საუბრობდა რა საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის შესახებ, თავს უფლება მისცა განეცხადებინა შემდეგი: „პარლამენტის თავმჯდომარეს დაურეკავენ, რის შემდეგაც თენგიზ კიტოვანი განთავისუფლებული იქნება".

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო უფლებამოსილია განაცხადოს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ უკვე დაავალა ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარეს ვალერიან ვაშაკიძესა და სხვა შესაბამის უწყებებს შეისწავლონ ბატონ ბორის კაკუბავას მიერ დასმული საკითხი და ყველაფერი იღონონ ლტოლვილთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება პარლამენტის წევრის ირაკლი წერეთლის განცხადებას, სახელმწიფოს მეთაურის თხოვნით, იგი ცნობისათვის გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურს, რათა დადგინდეს, რა საფუძველი აქვს აღნიშნულ განცხადებას, და ეცნობოს პარლამენტს.

საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით

რუმინეთის სახელმწიფო მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი თეოდორ ვიორელ მელეშკანუ

ბიოგრაფიული მონაცემები

თეოდორ ვიორელ მელეშკანუ დაიბადა 1941 წლის 10 მარტს. 1964 წელს დაამთავრა ბუქარესტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1964-1966 წლებში სწავლობდა ბუქარესტის უნივერსიტეტის ასპირანტურაში საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობით. 1966 წელს დაიწყო მუშაობა რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1967-1970 წლებში განაგრძო სწავლა ჟენევის უმაღლესი საერთაშორისო განათლების ინსტიტუტში. 1973 წელს მიიღო ჟენევის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1978-1985 წლებში დაინიშნა გაეროში რუმინეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილედ ჟენევაში. 1989-1990 წლებში იყო რუმინეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების და ევროპაში ნდობისა და უსაფრთხოების ზომების შემუშავების მოლაპარაკებაზე. 1991 წლის მაისიდან იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, ევრო-ატლანტიკის დეპარტამენტის უფროსი. 1992 წლის ოქტომბრიდან კი სახელმწიფო მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

დასვენების დღის გადატანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

გადატანილ იქნეს დასვენების დღე შაბათი — 1995 წლის 6 მაისი ორშაბათს, 1995 წლის 8 მაისს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. პაცაცია.

1995 წლის 18 აპრილი.

„დგება საქართველოში კონფლიქტების მოგვარების გადამწყვეტი დღეები"

— **განვლილ** კვირას საქართველოში გაიმართა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ რაფსანჯანის ვიზიტი, რომელიც როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისითაც არის საინტერესო. გასულ კვირას საქართველოს ეწვია ბატონი უაიტი, რაც ასევე რესპუბლიკის ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტი იყო... — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** განაცხადა:

— ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრება წარმოუდგენელია, თუ არ გვექნება მრავალმხრივი და ფართომასშტაბიანი საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობა. სწორედ ამ თვალთახედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ თანამშრომლობას. ამ რაკურსით არის აღსანიშნავი ის მოვლენები, რომლებიც განვლილ კვირას რესპუბლიკის ცხოვრებაში მოხდა.

საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ რაფსანჯანისა და ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ბატონ უაიტის ვიზიტებმა, მათთან გამართულმა მოლაპარაკებებმა ცხადყვეს, რომ ინტენსიური ეკონომიკური კავშირურთიერთობა, გაჯერებული, დაბალანსებული საგარეო-ეკონომიკური კურსი არის ის ბერკეტი, რომელმაც უნდა მოგვცეს რეალური საფუძველი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის შედეგიანად გამოყენებისათვის. ირანის პრეზიდენტთან და მთავრობის წარმომადგენლებთან ხელმოწერილი დოკუმენტები უდავოდ ფართო პერსპექტივებს სახავს. ირანის მხარე მზად არის ჩვენი სამრეწველო პოტენციალის ამოქმედების, მაგისტრალების გამოყენების, ერთობლივი საწარმოების შექმნისა და დიდმნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებისათვის კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. მათთან ურთიერთობის გაფართოება კიდევ უფრო რეალურს ხდის ევრაზიის დერეფნის იდეას, რასაც ჩვენთვის, უდავოდ, დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია. მხოლოდ ერთი მაგალითი: რომ ირანს რამდენიმე მილიონი ტონა ტვირთი აქვს გადასატანი ევროპისაკენ და მისაღები ევროპიდან, შესაძლებელია ეს ტვირთი გავატაროთ საქართველოს ტერიტორიაზე, აქედან გამომდინარე მთელი სასიკეთო შედეგებით, შემოსავლებით, სათანადო ინფრასტრუქტურის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნითურთ და ა. შ.

სამთავრობო დონეზე საქართველო-ამერიკის სისტემატური ურთიერთობის ლოგიკური გაგრძელებაა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ბ-ნ უაიტის ვიზიტი. ამ ვიზიტს უნდა მოჰყვეს ეკონომიკის საბაზისო დარგების რეაბილიტაცია და ენერგეტიკული პრობლემების დაძლევა, ურომლისოდაც განუხორციელებელი დარჩება ორმხრივსასარგებლო შეთანხმებები და ურთიერთობა, რასაც ესწრაფვიან დასავლური ბიზნესისა და საქართველოს საქმიანი წრეები. ენერგოუზრუნველყოფისა და გამტარუნარიანი სატრანსპორტო მაგისტრალების გარეშე ზედმეტია ლაპარაკი ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებაზე. სწორედ ამ ნიშნით იყო აღნიშნული ის კონკრეტული პრობლემებიც, რომელთა გადასაჭრელად გასულ კვირაში მუშაობდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

ბატონ უაიტთან საუბარში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო ნავთობსადენების პრობლემა. მე უკვე მქონდა საშუალება მეთქვა, რომ თუკი საქართველო ის ქვეყანა იქნება, რომელმაც უნდა გაატაროს ნავთობსადენები, ჩვენ მივესალმებით ასეთ გადაწყვეტილებას. ისიც ვთქვი, რომ ჩვენ მზად ვართ გავითვალისწინოთ ყველა იმ ქვეყნის ინტერესები, რომელიც ასე თუ ისე მონაწილეობს ნავთობსადენების მშენებლობასთან დაკავშირებულ დიალოგში. საერთოდ, აქ ასტრონომიულ ციფრებთან გვაქვს საქმე — უზარმაზარი მოცულობის ნავთობი უნდა გაიტანონ ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან ევროპის სახელმწიფოებისაკენ. ბუნებრივია, ამას მოჰყვება მთელი საერთაშორისო კონიუნქტურის სერიოზული შეცვლა ენერგოშემცველების სფეროში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველო ამ დიდი დიალოგის ერთ-ერთი მონაწილეა და მისი ადგილი თანდათანობით უფრო ნათლად იკვეთება.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსავალმა წლის დამდეგიდან 55 ტრილიონი კუპონი შეადგინა. აქედან, საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავალი 14 ტრილიონი კუპონია, ასევე 14 ტრილიონი კუპონი შეადგინა გრანტების სახით მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავალმა. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად კი ეროვნული ბანკიდან გაცემულია კრედიტი 27 ტრილიონი კუპონის ოდენობით (ამ კრედიტის წყაროა ის, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები გამოყოფენ). 1 აპრილიდან 20 აპრილამდე რესპუბლიკურმა ბიუჯეტმა საკუთარი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების სახით მიიღო 5 ტრილიონი კუპონი, გრანტების სახით მიღებული პროდუქციის რეალიზაციის შემოსავალმა 8 ტრილიონი შეადგინა. აპრილში რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო მსოფლიო ბანკის სარეაბილიტაციო კრედიტის ნაწილი 15 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ აღნიშნული კრედიტი 1995 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 1995 წლის 11 იანვრის კანონის თანახმად წარმოადგენს რესპუბლიკური ბიუჯეტით დამტკიცებული საგეგმო ხარჯების დაფინანსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს და მისი დაგვიანებით მიღება დიდ სირთულეებს ქმნის ხარჯების დაფინანსების საქმეში. მადლობა ღმერთს, რომ ახლა ეს გამოსწორებულია.

და კიდევ ერთი ტრადიციული თემა. 17 აპრილს თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე გამართულ საჯარო ვაჭრობაზე კომერციული ბანკების მოთხოვნამ 270 ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა, რაც მთლიანად დააკმაყოფილა ეროვნულმა ბანკმა. კურსი წინანდელ დონეზე დარჩა: 1 დოლარი — 1.800.000 კუპონი. რუსულ რუბლებზე გარიგება არ დადებულა. 19 აპრილს ბანკების მოთხოვნა 623 ათასი ამერიკული დოლარი იყო, დოლარის გაყიდვის სურვილი არც ერთ კომერციულ ბანკს არ გამოუთქვამს. რაც შეეხება მოთხოვნას 25 მილიონ რუსულ რუბლზე, იგი ერთ-ერთმა კომერციულმა ბანკმა დააბალანსა კურსით: 1 რუსული რუბლი — 266 კუპონი. 21 აპრილს გამართულ ვაჭრობაზე კომერციული ბანკების მოთხოვნა 440 ათასი დოლარი იყო, მათვე მიაწოდეს 62 ათასი დოლარი. მოთხოვნის დანარჩენი ნაწილი ეროვნულმა ბანკმა დააკმაყოფილა. კურსი იგივეა.



ედუარდ შევარდნაძის 24 აპრილის რადიოინტერვიუ

საინტერესოდ წარიმართა რუსული რუბლით ვაჭრობა. გასაყიდად გამოტანილი იყო 70 მილიონი რუბლი. რაკი წინა ვაჭრობაზე კურსი რამდენადმე მაღალი იყო, საწყისი კურსით მოთხოვნა არც ერთ ბანკს არ გამოუთქვამს. კურსი მკვეთრად დაეცა და ვაჭრობის შედეგად მან შეადგინა: 1 რუსული რუბლი — 215 კუპონი. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია ამ ბოლო თვეების განმავლობაში.

კიდევ ერთი ტენდენცია: ენერგოსისტემის რეჟიმული მდგომარეობა შედარებით სტაბილური გახდა. სიხშირე თითქმის მუდმივად 55 ჰერცის ფარგლებშია, რამაც სისტემას მუშაობის უფრო ნორმალური პირობები შეუქმნა. წყლის ხარჯი გაზრდილია ყველა ჰიდროელექტროსადგურზე და ძირითადად სწორედ ამით ხდება რეგულირება, თუმცა, აქ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. გასულ კვირაში ენერგოსისტემის რეჟიმი შედარებით მართვადი იყო, ვინაიდან მომხმარებელთა მიერ ელექტროენერგიის ხარჯვა გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში ხდებოდა.

კვლავ უფრო მეტად არის დაძაბული ენერგოსისტემების ფინანსური მდგომარეობა. დებიტორულმა დავალიანებამ უკვე 120 ტრილიონი კუპონი შეადგინა, დაგროვდა ბევრი სხვა პრობლემა. დიდია თბილისის დავალიანება — 23 ტრილიონი კუპონი, ქუთაისის — 10 ტრილიონი, რუსთავის — 2 ტრილიონი, საწარმოო გაერთიანება „თბილწყალკანალის" — 8 ტრილიონი, „აზოტის" — 8 ტრილიონი და ასე შემდეგ. ხვალ გაიმართება თათბირი ენერგეტიკის საკითხებზე, განვიხილავთ არსებულ ვითარებას და უახლოეს პერსპექტივას. ასეთი შეხვედრები სახელმწიფოს მეთაურის დონეზე ტრადიციად უნდა იქცეს, ალბათ, ან ყოველკვირეული ან ყოველდეკადური შეხვედრებია საჭირო იმისათვის, რომ ის მძიმე ზამთარი, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ, აღარ განმეორდეს.

15 აპრილს რუსთავში გაიმართა სამთო და ქიმიურ საწარმოთა ხელმძღვანელების შეხვედრა, რომელზეც დარგის საარსებო ინტერესებიდან გამომდინარე ბევრი და მნიშვნელოვანი, სასიკეთო რამ გადაწყდა. საგულისხმოა, რომ ბოლო დროს ამ კომპლექსში მთელი რიგი ახალი მიმართულებები გამოიკვეთა. მაგალითად, ახლა ჰოლდინგურ კომპანია „სამთო ქიმიაში" (კომპანიის შექმნასთან დაკავშირებით მე სპეციალური ბრძანებულება გამოვეცი და მხარი დავუჭირე სპეციალისტების წამოწყებას) ფართო ხასიათის სამუშაოები მიმდინარეობს ქართული შუშის გამოშვებისათვის, ბენტონიტური თიხის ბაზაზე მყარი საპნის წარმოებისა და სამკურნალო საშუალებათა დამზადებისათვის. აქ, სხვათა შორის, ძალიან ინიციატივიანი ხალხი მუშაობს, ძველ, საბჭოთა ხელისუფლების დროსაც ასე იყო და ახლაც თავისი ადგილი იპოვეს. მხედველობაში მყავს ბატონი ნიკა ცხაკაია და მისი კოლეგები. მნიშვნელოვნად იზრდება ცეოლითის წარმოება და მისი გამოყენება ფაიფურის წარმოებაში კაოლინის ნაცვლად, აგრეთვე, ლითოფონის, სასუქების წარმოება და ასე შემდეგ.

რესპუბლიკაში დიდი შესაძლებლობებია ჩვენი მრეწველობის ადგილობრივი ნედლეულით უზრუნველყოფისათვის. დასახელებული მაგალითები სწორედ ამას მოწმობს. საჭიროა შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენება. უახლოეს მომავალში, მაგალითად, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა მთლიანად ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე იმუშავებს. ამიტომაც, ქარხანას მუშაობის განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობები დავუწესე, დროებით გავათავისუფლე თითქმის ყველა გადასახადისაგან. ამან დიდი სტიმული მისცა იმ მიმართულებას, რომლის შესახებაც ახლა ვლაპარაკე.

ენერგოშემცველების დეფიციტის გამო კვლავ დაბალია სამრეწველო საწარმოთა ეფექტიანობა. სრული დატვირთვით ვერ მუშაობენ გაერთიანება „აზოტი", ლითოფონის ქარხანა და ზოგიერთი სხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ რკინიგზაზე ტვირთების გადაზიდვის ორგანიზაციას და პასუხისმგებლობის საკითხებს. რკინიგზას აქვს თავისი სირთულეები, მაგრამ ისინი ერთობლივად უნდა დავძლიოთ. მაგალითად, ერთი კვირის წინათ ქუთაისის ლითოფონის ქარხანას დაუბრუნდა შარშან დეკემბერში ბელარუსში გაგზავნილი ორი ვაგონი სალებავი, რომელიც, როგორც გაირკვა, საქართველოს ტერიტორიასაც კი არ გასცილებია. პროდუქცია ჩათვლილია რეალიზაციაში და ბიუჯეტის წინაშე დავალიანებისათვის საწარმოს საურავი უნდა გადაეხდა. ეს არ არის ნორმალური მოვლენა. ასეთი შემთხვევების მოთმენა უკვე აღარ შეიძლება.

ასეთია მოკლედ ამ კვირის შედეგები.

— გასულ კვირას გაიმართა თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელზეც ჩვენმა მხარემ სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაფართოება მოითხოვა. გენერალმა იაკუშევმა განაცხადა, რომ ჯარი პოლიციის ფუნქციით უნდა იყოს აღჭურვილი, რათა აფხაზეთში რაიმე რეალური ნაბიჯის გადადგმა მოახერხოს. საბოლოო გადაწყვეტილებას სახელმწიფოს მეთაურები 26 მაისს მიიღებენ. იმედია, თქვენი პოზიცია არ განსხვავდება საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციისაგან. მაშ, რატომ დადგა დღის წესრიგში უფლებების გაფართოების საკითხი იმ ძალისათვის, რომელიც, ჯერჯერობით მაინც, რეალურად მინიჭებულ უფლებებსაც ვერ იყენებს ბოლომდე? კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო რესპუბლიკურ თათბირზე ბატონ შოთა კვირაიას მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომ აფხაზეთი თანამეგობრობის მასშტაბით ტერორიზმისა და ბანდიტიზმის პოლიგონად იქცა...

— საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების თათბირში მონაწილეობდნენ ჩვენი წარმომადგენლები — ბატონები ნადიბაიძე თავის ჯგუფთან ერთად და ალექსანდრე ჩიკვაიძე. რა თქმა უნდა, მათ გამოხატეს ის პოზიცია, რომლის შესახებაც ჩვენ თბილისში შევთანხმდით. საერთოდ კი საქმე ასეა: ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში რეალურად დადგა. სწორედ ამ საკითხებზე მიმდინარეობს ახლა მოსკოვში გაცხოველებული დისკუსია ჩვენი წარმომადგენლების მონაწილეობით. ამასთან, ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით, რომ სამშვიდობო ძალების მანდატში კონკრეტულად მიეთითებინათ დაბრუნებული მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიები. სამწუხაროდ, წინა ეტაპზე მხოლოდ ზოგადი ხასიათის დებულებებით შემოიფარგლნენ. ახლა სავსებით სწორად დგას თითოეული მოქალაქის რეალური, კონკრეტული უსაფრთხოების საკითხი. გენერალი იაკუშევიც ამასვე ლაპარაკობს და ეს მისასალმებელია. რაც იგი სამშვიდობო ძალებს სარდლობს, მან პირველად გამოთქვა მოსაზრება, რომ დაბრუნებულ მოქალაქეთა უსაფრთხოების გარანტიებისათვის საჭიროა მანდატი. მის გამოსვლაში არის ზოგიერთი სხვა საინტერესო ასპექტიც.

(დასასრული მე-2 გვ.).

დიად გამარჯვებას საფუძვლად ედო ჩვენი ხალხების თავგანწირვა, ვაჟკაცობა, სიმტკიცე და ძმობა!

მიმართვა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების ხალხებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავთან დაკავშირებით

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურები მიმართავენ თავიანთი ქვეყნების ხალხებს და მსოფლიო საზოგადოებრიობას ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

1945 წლის 9 მაისი კაცობრიობის ისტორიაში დარჩება როგორც XX საუკუნის ყველაზე სამახსოვრო და ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი: სიკეთისა და თავისუფლების გამარჯვების დღე, ფაშისტური დამონების საფრთხისაგან ხალხთა ხსნის დღე.

საბჭოთა არმიის, პარტიზანებისა და იატაკქვეშელების გმირობა, ზურგის მშრომელთა თავგანწირვა, ჩვენი ხალხების უსაზღვრო ვაჟკაცობა, სიმტკიცე და ძმობა — აი, რა ედო საფუძვლად ამ დიად გამარჯვებას.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოკავშირეთა ჯარებმა, ანტიფაშისტურმა მოძრაობებმა, ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა ქვეყნის ხალხთა ძალისხმევამ.

გამარჯვება გახდა ხალხთა თავგანწირვის, კოლექტიური სულისკვეთების ყოვლისშემძლე ძალისა და იმ ადამიანთა ინდივიდუალური გმირობის უბრწყინვალესი გამოვლინება, რომლებიც იცავდნენ თავისუფლებასა და ადამიანურ ღირსებას, გამოვლინება მთელი მსოფლიოს ხალხთა უნარისა, — გაერთიანებულიყვნენ სასიკვდილო საფრთხის წინაშე.

გამარჯვებამ ცხადყო, რომ შესაძლებელი და აუცილებელი ყოფილა მსოფლიო გაერთიანების წევრთა თანამოქმედება საერთაშორისო ურთიერთობის უზრუნველყოფისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების საქმეში.

ჩვენ არასდროს არ დაგვავიწყდება, რომ მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის გულისათვის უდიდესი მსხვერპლი გავიღეთ. თანამემამულეების სახელით ჩვენ მივმართავთ თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების ხალხებსა და მსოფლიო საზოგადოებრიობას მოწოდებით — პატივი მიაგონ დაღუპულთა ხსოვნას, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ მათ ნამაგარს და ჯეროვანი მიუზღან გამარჯვების ვეტერან შემოქმედთ.

ვესწრაფვით რა საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრებას, ჩვენ საჯაროდ ვადასტურებთ ჩვენი ხალხების მტკიცე ნებას იღვაწონ ყოვლმხრივი თანამშრომლობის გასაღრმავებლად, როგორც თანამეგობრობის ფარგლებში, ისე ყველა სხვა ქვეყანასთან — მშვიდობისა და აყვავების სასიკეთოდ.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველას აამრავლონ ძალისხმევა, რათა აღუდგნენ პლანეტის მშვიდობიანი ცხოვრების ახალ საშიშროებებს, აღმოფხვრან და თავიდან აიცილონ არსებული კონფლიქტები, რომელთა ტრაგიკული განვითარება საფრთხეს უქადის ჰუმანურობისა და პროგრესის იდეალებს, შეიცავს ახალი უბედურებების, ნგრევისა და სისხლისღვრის საშიშროებას.

შეგნებული გვაქვს რა ჩვენი წმიდათა წმიდა მოვალეობა დიდი გამარჯვების დაღუპული და ცოცხალი გმირების წინაშე, ჩვენ მივმართავთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების ყველა ხალხებსა და მსოფლიო საზოგადოებრიობას მოწოდებით — გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა და ნება, რათა თავიდან აიცილონ მომავალ თაობებს ახალი ომების საშინელება და უბედურება!

**მიღებულია ალმა-ათაში
1995 წლის 10 თებერვალს,**

აქვე იქნა მიღებული გადაწყვეტილება გამოქვეყნებულიყო მიმართვა ა. წ. 25 აპრილს ერთდროულად თანამეგობრობის ყველა მონაწილე სახელმწიფოში.

საქართველო უპირველეს ყოვლისა!

მემედ აბაშიძის დღეები თბილისში

მემედ აბაშიძე... ამ სახელთან დაკავშირებულია პიროვნება, რომელმაც მთელი სიცოცხლე მოახმარა საქართველოს, მისი ხალხის სამსახურს. ხალხს ახსოვს და მადლიერებით მიაგებს პატივს თავის სახელოვან წინამორბედს. ამის დასტურია ქართველი ხალხის შესანიშნავი შვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები, რომლებიც თბილისში 23 აპრილიდან დაიწყო.

დღეების მოწყობისათვის დიდი მუშაობა გასწია სამთავრობო საიუბილეო კომისიამ ი. მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით.

მემედ აბაშიძის ხსოვნის დღეები მშობელი ხალხის წინაშე აჭარის კულტურის მოღვაწეთა თავისებურ შემოქმედებით ანგარიშად იქცა. 23 აპრილს თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა, გაიმართა ბათუმელ მწერალთა შეხვედრა საქართველოს მწერალთა კავშირში. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული აკადემიური თეატრი კი თავის სცენას დაუთმობს ბათუმის ოპერის თეატრს. ამ ახალ შემოქმედებით კოლექტივს თბილისელ მელომანთა სამსჯავროზე გამოაქვს თავისი სამი დადგმა: ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", რევაზ ლაღიძის „ლელა" (ორივე სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის გ. ჟორდანიას) და ვერდის „აიდა" გ. ლორთქიფანიძის დადგმით.

პირველი შეხვედრა თბილისელებთან — პირველი უმაგალითო წარმატება

24 აპრილს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა მემედ აბაშიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კულტურისა და ხელოვნების დღეები.

აქ მოვიდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, ქალაქ თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი, რესპუბლიკის მთავრობის წევრები, დედაქალაქის კულტურის, ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

„აბესალომ და ეთერის" წარმოდგენის დაწყების წინ აქ შეკრებილ საზოგადოებას გულითადი მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს საქართველოს კულტურის მინისტრმა დავით მაღრაძემ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ნოდარ ფაღავამ და თბილისის ვიცე-მერმა

(დასასრული მე-2 გვ.)

მერვე სვეტი

ოცნებობენ დამაკავშირებელ პირდაპირ გზაზე

სეპარატისტთა საინფორმაციო სამსახურები იუწყებიან, რომ ამ დღეებში სოხუმში გამოიცა ბროშურა „ქლუხორ-სოხუმის სამხედრო გზის დრამა". ბროშურის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეგრეთ წოდებული სოხუმის ინტერნაციონალისტთა საზოგადოების თავმჯდომარე იური ვორონოვი, რომელსაც ამჟამად უკავია სეპარატისტთა მთავრობის ვიცე-პრემიერის თანამდებობა.

ვორონოვი 80-იანი წლების დამლევიდან აშკარად უჭერს მხარს სეპარატისტებს, რაც აისახა კიდეც მის პუბლიცისტური და ისტორიული ხასიათის სტატიებში.

ზემოაღნიშნული ბროშურა გამოიცა სოხუმში აფხაზეთის ინტელიგენციის ასოციაციის ეგიდითა და მისივე სახსრებით.

აფხაზური რადიო, რომელიც მაუწყებლობას სოხუმიდან ახორციელებს, იტყობინებოდა, რომ დღეს ძალზე აქტუალურად დგას უმოკლესი გზით, კავკასიონის მთავარი ქედის გავლით ყარაჩაი-ჩერქეზეთთან პირდაპირი გზატკეცილით აფხაზეთის დაკავშირების ამოცანა, ანუ სეპარატისტებს სააშკარაოზე გამოაქვთ თავიანთი შორსგამიზნული ზრახვები.

მაგრამ, როგორც სეპარატისტთა რადიო იუწყებოდა, „ამ ამოცანის გონივრულად გადაწყვეტისათვის საჭიროა შევისწავლოთ კავკასიონის მთავარი ქედის გავლით აფხაზეთიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთში პირდაპირი გზის გაყვანის ცდების საკითხის ისტორია".

იური ვორონოვმა სწორედ ამ ისტორიის გაშუქება გადაწყვიტა თავის ბროშურაში.

თენგიზ პაჭკორია.

სეპარატისტები ზარალს ითვლიან

მდინარე ფსოუზე საზღვრის გადაკეტვამ სეპარატისტებს საკმაო ეკონომიკური ზარალი მიაყენა, ყოველ შემთხვევაში, აფხაზური საინფორმაციო სამსახურები სისტემატურად გადასცემენ მასალებს, რომლებიც მოწმობენ ამას. ამ დღეებში აფხაზური რადიო იტყობინებოდა, რომ 100 ათას ტონაზე მეტი „სამსუნის" მაღალხარისხოვანი თამბაქო დაიკარგა და გაფუჭდა სოხუმის დეპოში სამი თვის განმავლობაში მოცდენის გამო.

ეგრეთ წოდებული აფხაზური საბაჟოს უფროსის მოადგილე გიორგი ენიკი მიიჩნევს, რომ საჭიროა მიაღწიონ აფხაზეთიდან რუსეთში ზოგიერთი ძირითადი საქონლის უბაჟო გატანას.

ჩანს, სეპარატისტთა ფანტაზიას საზღვარი მართლაც არ ჰქონია.

აფხაზ სეპარატისტთა თარეში გრძელდება

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა წერილით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენელს გაეროში პეტრე ჩხეიძეს. წერილში მიეცა განმარტება გენერალური მდივნის მოადგილის და საგანგებო მრჩევლის ჩ. გარიბანის ინფორმაციას უშიშროების საბჭოს არაფორმალურ სხდომაზე ა. წ. 11 აპრილს. (ბატონ თამაზ ნადარეიშვილის წერილს ვაქვეყნებთ „საქართველოს რესპუბლიკის" დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე).

ამასთან დაკავშირებით ბატონი პეტრე ჩხეიძე უფრო კონკრეტული მუშაობის მიზნით ამზადებს ბატონ თამაზ ნადარეიშვილის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„დგება საქართველოში კონფლიქტების მოგვარების გადამწყვეტი დღეები"

(დასასრული)

საბოლოო გადაწყვეტილებას მანდატის გაგრძელების ან მანდატის ახალი შინაარსის შესახებ სახელმწიფოთა მეთაურები მიიღებენ. დგება საქართველოში კონფლიქტების მოგვარების გადამწყვეტი დღეები და რუსეთის ხელმძღვანელობა ამ თვალსაზრისით უნიკალურ მისიას ასრულებს. შეიძლება საქართველო გახდეს სწორედ ის ქვეყანა, სადაც საკმაოდ ეფექტიანად და ყველა მხარისათვის მისაღები პირობების დაცვით შედარებით სწრაფად მოგვარდება კონფლიქტები. მისასალმებელია, რომ მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც (მხედველობაში მყავს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი), ევროპის სტრუქტურები და სხვ. აქტიურია თანამეგობრობის ქვეყნების მხარდაჭერა. უნდა გითხრათ, რომ თავდაცვის მინისტრების, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრებზე თანამეგობრობის თითქმის ყველა ქვეყანამ აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს ერთიანობას, ტერიტორიულ მთლიანობას და მოითხოვეს, რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს და დამთავრდეს საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების, სამშვიდობო პროცესი.

ამ კითხვაზე პასუხს ასე დავამთავრებდი: როგორც ამბობენ, გამოჩნდა სინათლე გვირაბის ბოლოს.

ახლა, რაც შეეხება ტერორიზმს. ჩვენი მონაცემებით (ბატონი შოთა კვირაია მართალია), არსებობს სერიოზული გარიგება არძინბას რეჟიმსა და ჩეჩენ ბოევიკებს შორის მათი აფხაზეთში დაბანაკების შესახებ, ეს შემოწმებულია სხვადასხვა არხებით და წყაროებით. ასეთი მოძრაობა აფხაზეთისკენ უკვე დაიწყო. თუ ასეთი რამ მოხდება, ესე იგი, თუ ასეთი ბანაკები შეიქმნება აფხაზეთში, მაშინ აფხაზეთი გადაიქცევა ტერორისტებისა და დაქირავებული მკვლელების ბაზად და იგი საფრთხეს შეუქმნის არა მარტო რეგიონს, არამედ სხვა ქვეყნებსაც. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა ეს არ მოხდეს. გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ ჩვენი ძალისხმევა, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩვენი სტრუქტურებისა და რუსეთის შესაბამისი უწყებების სწორ ურთიერთმოქმედებაზე. მუშაობა უკვე დაიწყო და, ვფიქრობ, შეიქმნება ურთიერთმოქმედების სწორი სისტემა.

ამავე დროს მივმართავ აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობას — წინ აღუდგეს ამ დანაშაულებრივ გარიგებას, რადგანაც ეს საბოლოო ანგარიშით აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული, იმ მოსახლეობის, ვინც იქ დარჩა და იმ მოსახლეობისთვისაც, ვინც აფხაზეთში დაბრუნდება, იქნებიან ისინი ქართველები, აფხაზები თუ რუსები.

რამდენად საშიშია ტერორიზმი, ტერორისტული ჯგუფების ფორმირება, მათი შექმნა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შერბილება, ეს ჩვენი მაგალითიდანაც ჩანს: რამდენი უსიამოვნება და უბედურება შეგვხვდა ასეთ მოვლენებთან დაკავშირებით. ამ დღეებში საგანგებო ვრცელი დეპეშა გავუგზავნე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბატონ კლინტონს ოკლაჰომა-სიტიში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით. ყურადღება მივაქციე იმ ფაქტს, რომ სამი დღის წინათ პრეზიდენტ კლინტონის მიერ გაკეთებულ მიმართვაში იგი ტერორისტების სიკვდილით დასჯას მოითხოვს. მიმაჩნია, რომ ყველა სახელმწიფოს ძალისხმევა უნდა გაერთიანდეს (სწორედ ამას ვწერ ბატონ პრეზიდენტს) იმისათვის, რომ, როგორც იტყვიან, მიწასთან გავასწოროთ ტერორიზმი, აღმოვფხვრათ იგი როგორც მოვლენა ჩვენი პლანეტის ცხოვრებიდან.

— დღეს საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ ფედერალური მოწყობის თაობაზე. თქვენი აზრით, რამდენად შეუწყობს ხელს ფედერალური მოწყობა იმ ტიპის პრობლემების გადაჭრას, როგორიც აფხაზეთის პრობლემაა?

— საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა იქნება ის სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მოწყობის ყველაზე მისაღები ფორმა, რაც აფხაზეთისა და ქართულ-ოსური კონფლიქტის სწრაფი მოწესრიგების გარანტიას შექმნის. რასაკვირველია ფედერაციულ მოწყობაში სხვა ასპექტებიც არის, მაგრამ ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არგუმენტია ფედერაციული მოწყობის სასარგებლოდ. ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში არ უნდა შეგვეშინდეს საქვეყნო პრობლემების მიმართ გაბედული მიდგომებისა, რა თქმა უნდა, საკუთარი და უცხოური მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებით. ამავე დროს არ შეიძლება მუდმივად საკუთარ წარმოდგენათა ტყვეობაში ვიყოთ, როგორც ეს ზოგიერთ პოლიტიკოსს მოსდის. ცხოვრებისეული რეალობები ჩვენს შეხედულებებზე უფრო სწრაფად იცვლება და ჩვენც ობიექტური კანონზომიერებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა მოძველებული, თუნდაც ტრადიციული წარმოდგენებით. ამ თემაზე უახლოეს დღეებში გაიმართება დიალოგი პარლამენტთან, დიალოგი ხალხთან. ჩემი წინასწარი ვარაუდით, ბევრი არსებითი საკითხის პრობლემა სახელმწიფო მოწყობისა და მომავალი არჩევნების შესახებ ხალხმა, მოქალაქეებმა უნდა გადაწყვიტონ.

— განვლილ კვირას პარლამენტი კვლავ დაუბრუნდა თენგიზ კიტოვანის საქმეს. ირაკლი წერეთლის განცხადებით, რომელმაც ჟურნალისტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, თქვენ დაგირეკავენ და პატიმარს გაათავისუფლებთ. თუ ელემენტარულ ლოგიკას გავყვებით, ირაკლი წერეთელი თქვენ ყოველთვის აღგიქვამდათ როგორც პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსს. აქედან გამომდინარე, თქვენ რომ პატიმარი გაათავისუფლოთ, უნდა დაირეკოს რუსეთიდან. მაშინ იბადება ბუნებრივი კითხვა: რატომ უნდა იყოს დაინტერესებული რუსეთი ყოფილი თავდაცვის მინისტრით?

— ამ თემაზე დეტალურად არ ვილაპარაკებ. კიტოვანის თემა არ არის სახელმწიფოს მეთაურის თემა. არსებობს სათანადო ორგანოები, რომლებსაც შეიძლება ასეთი კითხვით მიმართონ. ისე კი, დავილაპარაკებ იმაზე ლაპარაკით, რომ პარლამენტარები უფრო სერიოზულად უნდა მსჯელობდნენ სახელმწიფოებრივ პრობლემებზე, სახელმწიფოებრივ საკითხებზე. სამწუხაროდ, ამაოდ ვირჯები (ეს ყველას არ ეხება, მაგრამ, ვისაც ეხება, ისინი თვითონ მიხვდებიან). რას ნიშნავს — დარეკავენ და გაუშვებენ პატიმარს? ესე იგი, შენ რომ მოხვიდე ხელისუფლების სათავეში, ასე მოიქცევი? არ ვიცი, მოვა თუ არა, აქვს თუ არა იმედი, ან რომელი ქვეყნიდან დაურეკავენ. მართალი გითხრათ, სხვა „მარგალიტებიც" ბლომად დაახვავეს იმ სხდომაზე. მაგალითად, ასეთი: რას ჩავეხუტეთ ირანს და სხვ. არაფერს ვამბობ სახელმწიფოს მეთაურის ლანძღვა-გინებაზე. მე შემიძლია მხოლოდ მოქალაქეებს მივმართო, ეს არის ჩემი აუდიტორია: ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ, როგორი კონსტიტუცია, როგორი საარჩევნო კანონი უნდა მივიღოთ და ვინ უნდა ავირჩიოთ პარლამენტში, თუ იქნება პრეზიდენტის ინსტიტუტი — პრეზიდენტად, რათა ამ კოშმარებისაგან განვიკურნოთ და სახელმწიფოს ბედი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს ჩავაბაროთ. ასეთები კი არცთუ ცოტანი არიან საქართველოში.

— დღეს ხსოვნის დღეა. მთელი გასული კვირა უმნიშვნელოვანესი იყო ქრისტიანული საქართველოსათვის. ხუთშაბათს მცხეთაში მირონი მოიხარშა, გუშინ კი მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა საქართველომ...

— ამ დღეს საქართველო ლოცვა-კურთხევაში ატარებს და ეს აუცილებელია. ჩვენს სულსა და ხორცს განკურნება და განწმენდა სჭირდება. განწმენდა სჭირდება ხალხსაც, უზნეობამ და უღმერთობამ, შურმა, ღალატმა და უმეცრებამ საშინელი ტკივილები დაგვიტოვა. მადლობა ღმერთს, ხალხი ღვთისკენ შემობრუნდა და ეს არის სამშობლოს ხსნისა და სამშობლოს გადარჩენის უპირველესი ნიშანი. დიდი ყურადღებით მოვისმინე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლე. მინდა ყველამ ყურით, ღრმად გაიაზრონ, რასაც პატრიარქი ღმერთის ჩაგონებით ბრძანებს.

დღეს ხსოვნის დღეა. პირველი, ვისაც უნდა ვეახლო და თაყვანი ვცე, აფხაზეთში დაღუპული ვაჟკაცები არიან, მათი სახელი ვადიდო და მათი სული მოვიხსენიო.

საქართველო უპირველეს ყოვლისა!

(დასასრული)

ზაზა შენგელიამ. ითქვა, რომ ცნობილი მოღვაწისა და მამულიშვილის მემედ აბაშიძის დღეების აღსანიშნავი ღონისძიებები თბილისში, რომელშიც მონაწილეობენ ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალგაზრდა კოლექტივი, მწერლები, მხატვრები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმ შემოქმედებითი და აღმშენებლობითი აღმავლობისა, რომელიც სუფევს აჭარაში, რაც თავისთავად დიდ სტიმულს აძლევს მთელ საქართველოს, მის დედაქალაქს, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას. ამასთან — თქვეს გამომსვლელებმა,— აჭარის კულტურისა და ხელოვნების ოსტატთა მასპინძლობა თბილისში იმაზეც მეტყველებს, რომ თანდათანობით სულ უფრო სტაბილური, მოწესრიგებული ხდება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება.

უკანასკნელ წლებში, ალბათ, ამდენი მაყურებელი არ ახსოვს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს. „აბესალომ და ეთერი" ეს ის სპექტაკლია, რომლითაც დაიწყო თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ბათუმის საოპერო თეატრმა. გიზო ჟორდანიას მიერ განხორციელებული ეს დადგმა, სპეციალისტთა აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა იმ დადგმათა შორის, რომლებიც წლების მანძილზე განხორციელებულა ქართულ სცენაზე.

მართლაც, შესანიშნავი სააღდგომო საჩუქარი უძღვნეს თბილისელებს თავიანთი „აბესალომით" ბათუმელმა ხელოვნების ოსტატებმა, მთავარი პარტიების შემსრულებლებმა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალეკო ხომერიკმა, წამყვანმა სოლისტებმა მ. ჯახუტაშვილმა, გ. გეგელაშვილმა, ს. თომაძემ, ე. ჯანჯალიამ, ნ. ხომერიკმა, ჟ. სურმანიძემ და სხვებმა.

თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობა, — მითხრა ცნობილმა მუსიკათმცოდნემ გულბათ ტორაძემ, — ნამდვილად განაცვიფრა და აღაფრთოვანა გუნდმა და ორკესტრმა, რომლებიც კარგ საფუძველს ქმნის ამ თეატრში ურთულესი საოპერო პარტიტურების განხორციელებისათვის.

საყოველთაო აღფრთოვანებით, მქუხარე ოვაციებით, მილოცვებით დამთავრდა „აბესალომის" პირველი წარმოდგენა.

სპექტაკლის შემდეგ მსახიობებთან მისულმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გულთბილი სიტყვები არ დაიშურა მსახიობებისათვის, მიულოცა მათ დიდი წარმატება და აღნიშნა: — ვულოცავ აჭარას, მთელ საქართველოს, ქართულ კულტურას ამ გამარჯვებას. რასაც დღეს აჭარა აკეთებს, ეს არის ისტორიული საქმე ქართული კულტურისა და ხელოვნების გადასარჩენად. სასიხარულო ის არის, რომ ჩვენ ყველანი ერთად ვართ ჩვენი კულტურისა და ხელოვნების გადარჩენისათვის ბრძოლაში. დღეს მართლაც დიდი დღესასწაულია, დიდი ზეიმია. დარწმუნებული ვარ, რომ ქალაქის მერი, ყველა ვისაც მასპინძელი გვქვია, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის რომ სტუმრად არ იგრძნოთ თავი.

ძალიან გაგვახარეთ. ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ. ასე ფიქრობს მთელი თბილისი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მემედ აბაშიძის იუბილეს დაემთხვა ყოველივე ეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აჭარა მარტო სიტყვით არ არის ბურჯი საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის, არამედ საქმით, მუსიკით და დიდი ხელოვნებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს

განცხადება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს არაერთგზის განუცხადებია, რომ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებობს სამხედრო ბაზები, სადაც ამზადებენ ბოევიკებს და გზავნიან მათ ჩრდილოეთ კავკასიაში კონფლიქტის ზონაში. დღეს, როცა რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ჩეჩნეთიდან პრაქტიკულად გამოდევნეს უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი, ისინი, არძინბასთან წინათ არსებული მორიგების თანახმად, შემოდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. და ეს გასაკვირი არც არის, რადგან სოხუმი გამოცხადებული იყო კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის დედაქალაქად. მოვლენათა ასეთ განვითარებას შეიძლება მოჰყვეს დაუსჯელობის ახალი ეტაპის დაწყება, და ამიტომ, კრიმინოგენულ ელემენტთა თავშეყრა ავტონომიურ რესპუბლიკაში სავსებით ლოგიკურია. ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ რუსეთის პრეზიდენტს, სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას არ დაუშვან აფხაზეთში სეპარატიზმის ახალი ეტაპის დაწყება. გთხოვთ, დაუყოვნებლივ განახორციელოთ ღონისძიებანი საქართველოს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონო ქმედობის აღსაკვეთად.

საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბატონ პეტრე ჩხეიძეს

პატივცემულო ბატონო პეტრე!

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, უშიშროების საბჭოს მორიგ დახურულ სხდომაზე „აფხაზეთში უკანასკნელი მოვლენების შესახებ" ინფორმაცია გააკეთა გენერალური მდივნის მოადგილემ, საგანგებო მრჩეველმა ვ. გარეხანმა. თავის გამოსვლაში მან განაცხადა, რომ პირველ აპრილს ქალაქ გალში, მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირიდან, საქართველოს მხარე თავს დაესხა დაკრძალვის პროცესიას. შემდეგ აგრეთვე შეეხო 9 აპრილს მომხდარ შეიარაღებულ შეტაკებას, რომლის შედეგად დაიღუპა ერთი და დაიჭრა სამი კაცი, რაშიც ასევე ბრალი საქართველოს მხარეს ედება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უფლებამოსილია განაცხადოს, რომ აღნიშნულ ფაქტებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საქართველოს მხარესთან. მიღებული ცნობებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ინციდენტი მოხდა უშუალოდ დაკრძალვის პროცესიის მონაწილეთა შორის, რაც შემდეგ შეიარაღებულ კონფლიქტად იქცა და ამის შედეგად დაიღუპა აფხაზური ეროვნების რამდენიმე კაცი. რაც შეეხება 9 აპრილს მომხდარ ფაქტს, გაცნობებთ, რომ გალის რაიონში არავითარი პარტიზანული ჯგუფები არ არის, რადგან ჩვენ ასეთ მოძრაობას არ ვიწონებთ. შესაძლოა მხოლოდ ხდებოდეს ცალკეული ტერორისტული აქტები, რომლებსაც სჩადიან მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლენი, თავიანთი ახლობლებისა და ნათესავების მკვლელობისათვის შურისგების ნიადაგზე რომ მოქმედებენ.

ვსარგებლობ შემთხვევით და გაცნობებთ, რომ სეპარატისტთა მიერ ოკუპირებულ ზონაში ხშირია მშვიდობიან მოქალაქეთა მოტაცების შემთხვევები, რასაც თან სდევს წამება გამოძალვისა და გამოსასყიდის მიღების მიზნით.

უფრო მეტიც, ახლო და შორეული საზღვარგარეთიდან გამოხმობილი რეაქციული და კრიმინალური ძალების, დაქირავებულების მხარდაჭერით სეპარატისტები ოკუპირებულ საქართველოს განუყოფელ ნაწილში, აქვთ რა სრული დაუსჯელობის იმედი, ღვრიან უდანაშაულო ადამიანთა სისხლს, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ქაოსსა და პოლიტიკურ ანარქიას.

ამ დღეებში აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობა და, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობიან პროცესთან დაკავშირებით დაბრუნებული ქართველი მოსახლეობა გახდა გენოციდის ახალი ეტაპის მოწმე, რომელიც აფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა და დაქირავებულმა ბოევიკებმა გააჩაღეს. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენენ გალის რაიონში.

9 მარტს დასახელებული რაიონის სოფელ ოტობაიაში ყაჩაღთა გასამხედროებულმა ჯგუფმა, ვინმე ბაგათელიასა და გოგოხიას ხელმძღვანელობით, დაარბია ოჯახები, მიაყენა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა, დაწვა სახლები, დახვრიტა ბევრი მცხოვრები.

12 მარტს რამდენიმე ასეული ბოევიკი სეპარატისტული შინაგან საქმეთა მინისტრის გივი აგრბას მეთაურობით იმავე დღეს რაიონში ჩავიდა 22 ავტობუსით და განახორციელა ფართომასშტაბიანი დამსჯელი ოპერაცია ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. მათ დახვრიტეს 20-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები, მძევლებად აიყვანეს 250-ზე მეტი უდანაშაულო ადამიანი, გადაწვეს ბევრი საცხოვრებელი სახლი და შენობა.

უფრო მეტიც, 11 მარტს დილის 9 საათზე აფხაზთა შეიარაღებულმა ჯგუფმა გადალახა ავტონომიური რესპუბლიკის საზღვარი და ზუგდიდის რაიონში მდებარე მოპირდაპირე ზონიდან სოფელ შამგონაში მძევლებად აიყვანა 15 კაცი ძირითადად ქალები და ბავშვები, რომელთა ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

ყველა ამ დანაშაულებრივ მოქმედებას აფხაზი ბოევიკები სჩადიან ზონაში, რომელსაც კონტროლს უწევენ სამშვიდობო ძალები მათი დისლოკაციის მახლობლად, თითქოსდა წესრიგის დასამყარებლად აფხაზური მილიციის შეყვანის საბაბით. აღნიშნულის დადასტურებაა ბატონ ვ. გარეხანის ინფორმაციაც აფხაზური მხარის მორიგი ოპერაციის შესახებ, რომელიც 6 აპრილს მოეწყო, და მონაწილეობდა ტყვიამფრქვევებით, ნაღმსატყორცნებითა და ჯავშანტექნიკით შეიარაღებული 130 მილიციონერი, რაც 14 მაისის ხელშეკრულების უხეში დარღვევაა.

ჩვენს ხელთ არსებობს მრავალი სარწმუნო დოკუმენტი, ფოტო და ვიდეო — მასალა რომლებიც ადასტურებენ, რომ ეწყობა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა — გენოციდი. ჩვენ შეგვიძლია ეს მასალები წარმოვადგინოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ვიზიტის დროს.

აღნიშნულთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ლტოლვილთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ადამიანთა სახელით გთხოვთ დაუყოვნებლივ მიიღოთ ობიექტური ზომები აფხაზ სეპარატისტთა დანაშაულებრივი ქმედობის აღკვეთისათვის, მისცეთ მშვიდობა და სიმშვიდე ადამიანებს, აღადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

თ. ნადარეიშვილი.

ასლან აბაშიძე: ამაღლების გზით ევლოს საქართველოს!

მართლაც უჩვეულო სანახავი იყო ამ რამდენიმე დღის წინათ ბათუმი, მისი თეატრის წინამდებარე მოედანი. თითქმის მთელმა ქალაქმა გააცილა თბილისში საგასტროლოდ ბათუმის ახალგაზრდა საოპერო თეატრის კოლექტივი.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ასეთი რამ პირველად ხდება ჩვენს დედაქალაქში... ამიტომაც ვთხოვე აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ასლან აბაშიძეს რამდენიმე სიტყვა ეთქვა საზოგადოებრიობისათვის ამ ფაქტთან დაკავშირებით.

— შეუძლებელია ამ ფაქტის გადაფასება, მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ასეთ რთულ ვითარებაშია. ის, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის თხოვნითა და მიწვევით ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრი გასტროლებს მართავს თბილისში, რაღაც თავისებური ნიშანია ჩვენში სტაბილურობის დაწყებისა, ეს ფუნდამენტურად აფიქსირებს იმ სასიკეთო პროცესს, რომელიც ვაივაგლახით, მაგრამ მაინც მიიკვლევს გზას... თუ ამას, მოჰყვება სხვა შესაბამისი აქტები საქართველოს სხვა რეგიონებიდან, ქალაქებიდან, მაშინ მიზანი, რომლისკენაც ისწრაფვის თითოეული ჩვენგანი, უფრო ადრე იქნება მიღწეული და ხალხიც ირწმუნებს იმას, რომ დადგა დრო, როცა ყოველივე ამის გაკეთება შესაძლებელია. კარგია, რომ აჭარა ამ საქმეშიც ამბობს თავის პირველ სიტყვას.

— ბატონო ასლან, ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ეს გასტროლები დაემთხვა ჩვენი დიდი მოღვაწის მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავის საიუბილეო დღეებს, რომელიც თბილისში გაიმართება...

— მემედ აბაშიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე ჯერ კიდევ 1993 წელს უნდა გამართულიყო, მაგრამ იგი ისევ ჩემი მიზეზით გადაიდო. მე თავს ვიკავებდი ამ ღონისძიების ჩატარებისაგან (რადგან იგი უშუალოდ ჩემი წინაპარია, — მამაჩემის მამაა) და ამიტომაც ვითხოვე გადაგვედო ამ თარიღის აღნიშვნა შესაფერისი დროისა და ვითარების დადგომამდე. რაც შეეხება სხვა იუბილეებს ჩვენ მათ ვმართავდით ბათუმში.

შემდეგ მოხდა ისე, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის წინადადებით ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა მემედ აბაშიძის იუბილის მომწყობი სამთავრობო კომისია, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ამ ღონისძიების მაღალ დონეზე მომზადებისა და ჩატარებისათვის. და აი, ეს მაისის პირველ დღეს შედგება.

— აჭარის კულტურისა და ხელოვნების ის ათი დღე, რომლითაც იცხოვრებს თბილისი, მემედ აბაშიძის უდიდესი ღვაწლის, მისი სახელის უკვდავყოფის ნიშნით ჩაივლის და, ამასთან, თვალნათლივ დაანახებს მთელ საქართველოს აჭარის დღევანდელობას, სიკეთისა და აღმშენებლობის იმ ატმოსფეროს, რომელიც აქ სუფევს.

— იმასაც ვიტყვი: — თბილისელებს ეს გასტროლებიც, საერთოდ ღონისძიებები, რომლებიც ამ დღეებშია დაგეგმილი, მისცემს იმის საშუალებას, რომ თვალნათლივ ნახონ თუ რა კეთდება ჩვენთან საქართველოს კეთილდღეობისათვის, მისი აღმშენებლობისათვის. ამასთან, დიდი სურვილი გვაქვს სულიერი სიმშვიდე დაეუფლოს ყველას, ვინც უშუალოდ დაესწრება ამ სპექტაკლებს და შეხვედრებს და იმათაც, ვინც მოისმენს და ნახავს მას რადიოთი და ტელევიზიით. მინდა ეს დღეები, საერთოდ ეს მოვლენა, ჩვენი ქვეყნის მომავალი სტაბილურობის ერთ-ერთ განმამტკიცებელ მექანიზმად იქცეს.

ჩვენები 22 აპრილს იწყებენ რეპეტიციებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, 23 აპრილს აღდგომის დღესასწაულია, 24-ში კი პირველი სპექტაკლი — „აბესალომ და ეთერი". მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და აღდგომის ნათელი დღე მივულოცო თბილისელებს, მთელ საქართველოს. მართლაც, სულ აღდგომისა და ამაღლების გზით ევლოს ჩვენს ხალხს, ქვეყანას.

რაც შეეხება ამ ღონისძიებების მონაწილეებს, ვუსურვებ მათ თავიანთი ხელოვნებით, სიკეთით, სიყვარულით მართლაც მოეხიბლოთ, გაეთბოთ, გაეხალისებინოთ ჩვენი დედაქალაქი, მისი თითოეული მცხოვრების გული. მჯერა, რომ ეს ასეც იქნება.

გია ჭელიძე.
„სრ" აჭარის ბიურო.

ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კომიტეტის მოღვაწეობა რესპუბლიკაში კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი საშუალებაა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კომიტეტის დელეგაცია და ამავე კომიტეტის მოქმედი თავმჯდომარის აპარატის ხელმძღვანელი ბატონი ხორვატი.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დელეგაციის წევრთა თხოვნით ისაუბრა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ, აღნიშნა, რომ სტაბილიზაციის ფაზაში შესული სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. რაც შეეხება კონსტიტუციაზე მუშაობას, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. კერძოდ, განხილულია რამდენიმე ვარიანტი, ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია პროექტი, რომელიც სახელმწიფოს ფედერალურ მოწყობას გულისხმობს, ეს კი ყველა პირობას შექმნის ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის პრინციპის დაცვისა და კონფლიქტების პოლიტიკური გზით გადაწყვეტისათვის. სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ შემოდგომაზე რესპუბლიკაში გაიმართება საპარლამენტო არჩევნები. შეხვედრაზე ითქვა, რომ ბუდაპეშტის სამიტზე წამოყენებული წინადადების საფუძველზე საქართველოში გაეროს, ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კომიტეტის, სხვა ორგანიზაციების ეგიდით მოეწყობა საერთაშორისო კონფერენცია.

დასასრულ სახელმწიფოს მეთაურმა დადებითად შეაფასა ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კომიტეტის, ასევე სხვა ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში და განაცხადა, რომ მათი მოღვაწეობა რესპუბლიკაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად.

რით ვუშველოთ საქართველოს? ხელი—ხელს, გული—გულს, მხარი—მხარს!

სად გადის საზღვარი?

წალენჯიხაში პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" გასვლითი სხდომის ჩანაწერები



რომელი საზღვარი, — ცხადია, დაინტერესდება მკითხველი. რომელი და, საქართველოს ორ განუყოფელ და ძირძველ მხარეს — სამეგრელოსა და აფხაზეთს შუა გამავალი პირობითი საზღვარი-მეთქი, ვუპასუხებ,

ამას რა კითხვა უნდა, ცხადია, ენგურზე, — დარწმუნებული ვარ, დაუხანებლად მიპასუხებს მკითხველთა დიდი უმეტესობა.

მიპასუხებს და შეცდება კიდეც, რადგან ენგური არ გახლავთ მთელ გაყოლებაზე ამ ორი მხარის პირობითად გამყოფი საზღვარი.

საქმე ის არის, რომ ენგურსგაღმა, დღესდღეობით სეპარატისტთა მიერ დროებით ოკუპირებულ გალის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს თითქმის 900-კომლიანი სამი სოფელი — ფახულანი, პალე და მუჟავა, რომლებზეც საქართველოს იურისდიქცია ამჟამადაც ვრცელდება და რომლებიც წალენჯიხის რაიონს ეკუთვნის.

და ჩამოსვლისთანავე სწორედ ამ სოფლების საზღვართან, სოფელ ლიას ტერიტორიაზე, ენგურზე გადასასვლელი ხიდის ხიმინჯებთან შეხვდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს „თანადგომის" წევრები.

ამ ხიდის ამჟამინდელი მდგომარეობით მათი დაინტერესება სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. მისი მშენებლობა 1990 წელს დაიწყო, მაგრამ ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო, მალევე დაკონსერვდა. და თუ მაშინ იგი მხოლოდ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ამ სოფლების მცხოვრებთ 20-22 კილომეტრით უმცირებდა მანძილს რაიონულ ცენტრამდე, აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ მან უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც შეიძინა (სხვათა შორის, აქ ამჟამად მოქმედი საკალფეხო ხიდის წყალობით აფხაზეთიდან ათასობით დევნილმა დააღწია თავი სეპარატისტთა ტყვეობას) და მისი დამთავრება მარტო წალენჯიხის კი არა, მთელი საქართველოს ინტერესებშიც შედის.

სწორედ ამის გათვალისწინებით, შეხვედრისას გადაწყდა საქართველოს პარლამენტში წალენჯიხიდან წარგზავნილი დეპუტატის და რაიონის გამგებლის ხელმძღვანელობით ოპერატიულად შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც ასევე ოპერატიულად შეიმუშავებდა ხიდის მშენებლობის განგრძობისთვის საჭირო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვას, რათა ერთიანი ძალებით სწრაფად დამთავრდეს მშენებლობა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამ საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის მზადყოფნა გამოთქვეს.

აქვე უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აუცილებელია მდინარე მაგანაზე არსებული ხიდის რეკონსტრუქცია. რომელიც ჯვარმესტიის რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალს ემსახურება და დღესდღეობით ენგურსგაღმა მდებარე წალენჯიხის სოფლებთან ერთადერთი დამაკავშირებელი საშუალებაა...

წალენჯიხა — მშრომელი, საოცრად გულითადი და სტუმართმოყვარე ადამიანებით დასახლებული სამეგრელოს ეს მთის რაიონი ყოველმხრივ ძალზე დაზარალა ამ ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა. მთლიანად მოიშალა მართვის სისტემა. არ მუშაობდა სკოლები და თითქმის არც ერთი ორგანიზაცია, პირწმინდად გაიძარცვა საწარმოები, გაჩანაგდა კურორტი „სქური", რაიონული ცენტრი და ქალაქი ჯვარი, გაიქურდა კავშირგაბმულობის განყოფილება... მეფობდა ტერორი, ძარცვა და ყაჩაღობა, მოსახლეობა შიშსა და უიმედობას მოეცვა...

გამგეობის ახალმა შემადგენლობამ ადგილობრივი მკვიდრის, ენერგიული და ნიჭიერი ახალგაზრდა ხელმძღვანელის დავით ქანთარიას თავკაცობით, როგორც იტყვიან, თითქმის ყველაფერი ნულიდან დაიწყო.

რაიონის აქტივისა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა წარმომადგენლებთან „თანადგომის" წევრთა შეხვედრისას ითქვა, რომ ამან და, საერთოდ რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაციის გაჯანსაღებისათვის ბოლო ხანს მიმდინარე მუშაობამ, რაიონში პირველი დადებითი შედეგებიც გამოიღო.

სადღეისოდ რაიონში პოლიციის გარდა არც ერთი შეიარაღებული ფორმირება არ არის, წლეულს გახსნილია ყველა მძიმე დანაშაული, პირველი კვარტლის ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა, მინისტრთა კაბინეტის დახმარებით განახლდა კავშირგაბმულობის განყოფილების მუშაობა, აღდგენილია სტადიონი, ადგილობრივი საფეხბურთო კლუბი. დაიწყო მინერალური წყლის „სქურის" ჩამოსხმა, აქტიურად ხორციელდება ანტიკრიზისული პროგრამა, მოწესრიგდა შიდა გზები. მოიხრეშა ზუგდიდი-წალენჯიხის საავტომობილო გზა, გამოცოცხლდა კომუნალური მომსახურების სფერო, ყოველდღიურად იწმინდება რაიონული ცენტრი, რომელიც მთლიანად განთავისუფლდა დიდი ნაგავსაყრელებისაგან...

სულ უფრო აქტიურდება მუშაობა ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა შესატყვისი საქმიანობის ფორმების დანერგვისთვის. ჯერ კიდევ შარშან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ასოციაციები (დღეს რაიონში 18 ასეთი ორგანიზაციაა), რომელთაც წლეულს იჯარით გადაეცემათ ჩაის გაველურებული პლანტაციები. სოფელ ლიაში დაარსდა აგროფირმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბიზნესმენი და საკუთარი სახსრები დააბანდა მასში, მთავრდება მიწის პრივატიზაცია, რაიონში გაიხსნა 150-მდე კომერციული მაღაზია და ჯიხური...

მოკლედ ცხოვრება ნელ-ნელა დგება ნორმალურ კალაპოტში, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, უმეტესწილად სწორედ ამაზე — გასაკეთებელსა და მოსაგვარებელზე — ილაპარაკეს რაიონის გამგებელმა დავით ქანთარიამ, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ვარლამ კვარაცხელიამ, ექიმმა გიორგი ცანავამ, წალენჯიხის ჩაის მეურნეობის ხელმძღვანელმა შაზი ლატარიამ და სხვებმა.

საგანგებოდ დაისვა ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის მუშაობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელების საკითხი. საჭიროა მიზნობრივი კრედიტის გამოყოფა ენგურჰესის კასკადის შემდგომი განვითარების კი არა, თუნდაც დღეს არსებული ისედაც არასახარბიელო მდგომარეობის შენარჩუნებისა და რეალური კატასტროფის თავიდან აცილებისათვის (სხვათა შორის, ეს საკითხი ასევე პრინციპულად დაისვა იანვარშიც, როდესაც „თანადგომის" წევრები ზუგდიდში შეხვდნენ ამომრჩევლებსა და აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლებს).

და ამასთან დაკავშირებით მეორე საკითხიც, რომელიც შეხვედრაზე რაიონის გამგებელმა დააყენა და სხვებმაც მხარი დაუჭირეს: ვინაიდან ენგურჰესის კაშხალი რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს და ამის გამო წალენჯიხა ეკოლოგიურად საშიშ ზონაშია, კარგი იქნება, თუ რაიონის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ნაწილი (დაახლოებით 50 პროცენტამდე) სათანადო ნორმატიული გათვლების საფუძველზე ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხება. რაიონის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამის მეოხებით წალენჯიხელები თავად შეძლებენ შიდა გზების კეთილმოწყობასა თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას...

შეხვედრის მონაწილეთა შეკითხვებს უპასუხეს, „თანადგომის" სამომავლო გეგმებზე, რესპუბლიკაში ამჟამად არსებულ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე ისაუბრეს სამეგრელოს მხარეში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა გივი ლომინაძემ, „თანადგომის" თავმჯდომარემ ნუგზარ ნადარაიამ, თანათავმჯდომარემ და საპარლამენტო ფრაქციის „19 თებერვლის" ხელმძღვანელმა გენო კალანდიამ, პარლამენტარებმა ვალერი ჰანტურიამ, გერმანე ფაცაციამ, ავთანდილ ტყებუჩავამ...

„თანადგომის" წევრებმა შეხვედრის შემდეგ დაათვალიერეს 1992 წლის 6 ივლისს წალენჯიხის რაიონულ ცენტრში მომხდარი ტრაგიკული მოვლენებისას დამწვარ-განადგურებული საცხოვრებელი სახლები, თავის დროზე მათი აღდგენითი სამუშაოების შეფობა თბილისის მერიას უკისრია, საჭირო თანხაც ნაწილ-ნაწილ გადაურიცხავს, მაგრამ კუპონის დევალვაციამ ყველაფერი ამაო გახადა. საჭიროა მიზნობრივი კრედიტები და საშენი მასალაც სამუშაოთა დასამთავრებლად...

„თანადგომის" წევრებმა, რომლებმაც ყურადღებით ჩაინიშნეს შეხვედრის მონაწილეთა და ამომრჩეველთა წინადადებები, აღუთქვეს მათ, რომ სათანადო რესპუბლიკურ ორგანოებში საკითხების დაყენებითა და პრინციპული პოზიციით ყოველ ღონეს იხმარენ ამ პრობლემების გადაჭრისათვის.

რუსლან რუსია.
წალენჯიხა—თბილისი

• • •

სურათებზე: „თანადგომის" წევრები ესაუბრებიან წალენჯიხელ ამომრჩევლებს ლია-ფახულანის ხიდის დაკონსერვებულ მშენებლობაზე; შეხვედრის პრეზიდიუმი.

იოსებ დავითაშვილის ფოტო.

ქართველები უცხოეთში

კანადაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენის ვასილ მარგველაშვილის საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ, რომელსაც იგი საქართველოს სასარგებლოდ ეწევა, ბევრჯერ მსმენოდა, ქართულ პრესასა და ტელევიზიას არაერთხელ მიუპყრია საზოგადოებრიობის ყურადღება მის მიერ განხორციელებულ აქციებზე. ამ დღეებში ბატონი ვასო მშობლიურ ქალაქს ეწვია. ამჯერად მომეცა საშუალება, რომ პირადად გამეცნო საქართველოსთვის დამაშვრალი კაცი, რომელსაც ბევრი საჭირო და სასარგებლო საქმე აქვს გაკეთებული და სამომავლოდაც ბევრის გაკეთებას აპირებს...



ბიზნესი ქველმოქმედებასაც გულისხმობს

ცამეტი წელიწადია, რაც იგი კანადაში ცხოვრობს და მოღვაწეობს თავის მეუღლესთან ჯულიანა პოვისთან ერთად. 80-იანი წლების დასაწყისში ქალაქ ვანკუვერში დააარსა ფირმა „Caucasia", რომელმაც იმთავითვე თავისი მოღვაწეობის ძირითად ორიენტირად დაისახა ქართველ და კანადელ ხალხებს შორის კულტურულ-ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბება და განმტკიცება, ამ ხნის განმავლობაში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა, რომლის უბრალო თვალგადევნება დაგვანახებს მათ მნიშვნელობას როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნისათვის.

ფირმა „Caucasia"-თან აქტიურად თანამშრომლობს სიეტლში გამართული „კეთილი ნების თამაშების" პრეზიდენტი ბობ უოლში. 1985 წელს იგი ბატონი ვასოს თაოსნობით ეწვია თბილისს. მართალია, მისი სურვილი — გაეტანა ქართული ღვინო და სანაცვლოდ სამედიცინო თუ სამრეწველო აპარატურა ჩამოეტანა, არ განხორციელდა რიგი მიზეზების გამო. მაგრამ ამ კაცმა გაიცნო ქართველი ხალხი, ბევრი რამ შეიტყო მის წარსულ კულტურასა და ისტორიაზე. მისი დახმარებით გახდა შესაძლებელი, რომ საქართველოს ტელევიზიის გადამღები ჯგუფი ჩასულიყო და ფილმი გადაეღო სიეტლზე. ბატონი ვასოსავე ინიციატივით თბილისს ეწვია ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ „ტაიმსის" კორესპონდენტი მარიამ ბოროსი, რომელსაც თან ახლდნენ ამერიკელი მზარეულები, მათ თბილისში ამერიკული სამზარეულო წარმოადგინეს. ამის შემდეგ ვასილ მარგველაშვილისა და ფირმა „შერატონ კორპორაციის" ხელშეწყობით ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და სიეტლში გაიმართა ქართული კერძების დეკადები. ამ წამოწყებებს ყოველთვის მხარს უჭერდა საქტელერადიო კომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობა.

ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ლუკას სახარების მიხედვით შექმნილი ფილმის „იესოს" პრეზენტაცია თბილისში, ეს მაშინდელ საბჭოთა სივრცეში უპრეცედენტო ფაქტი იყო. მახსოვს მოსკოველი და პეტერბურგელი კოლეგების თეთრი შური — როგორ მოახერხეთო „იესოს" ჩამოტანა თბილისში, ვასილ მარგველაშვილმა არა მარტო ფილმის ჩამოტანა შეძლო, არამედ ჩამოიყვანა ფილმის გადამღები ჯგუფი, აგრეთვე აშშ-ს კონგრესმენი მაკქიუენი და პენტაგონის გენერალი ჯეიკ ჯექსონი.

კინოსტუდია „ქართული ფილმისა" და პირადად რეზო ჩხეიძის დახმარებით შეძლო ვასილ მარგველაშვილის ფირმამ კანადაში ქართული ფილმების კვირეულის გამართვა, მასში ყველა ჟანრის 26 კინონაწარმოები იყო ჩართული. კვირეულის პარალელურად ქართული ეთნოგრაფიის გამოფენაც იყო წარმოდგენილი, რომელმაც კანადელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, აღნიშნული გამოფენის ნიმუშები ამჟამადაც კანადაშია და მიმდინარეობს საორგანიზაციო სამუშაოები, რომ ამ გამოფენამ აშშ-ში იმოგზაუროს.

— ჩვენ მივედით იმ აზრამდე, — ამბობს ბატონი ვასო, — რომ ბიზნესი ვერ გაკეთდება, თუ ხალხები არ იცნობენ ერთმანეთს. მხოლოდ ერთმანეთის ყოფის, კულტურის, ისტორიის ღრმა და სერიოზული გაცნობის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი ურთიერთნდობაზე, კავშირებსა და ბიზნესზე.

კულტურული აქციების გარდა, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორი ქვეყნის დაახლოებაში, ფირმა „Caucasia" ფართო საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა. უკვე ორჯერ ჩამოიტანეს საკუთარი ხარჯით ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი, რომელიც სამშობიაროებს, ბავშვთა საავადმყოფოებსა და ბავშვთა სახლებს გადასცეს. ბატონი ვასო გულდაწყვეტით ლაპარაკობს, რომ დახმარების უმეტესმა ნაწილმა ბავშვებამდე ვერ მიაღწია.

ფირმა „„Caucasia"-ს ინიციატივით წყნეთის ბავშვთა სახლიდან ოთხი უდედმამო, ავადმყოფი ბავშვი იშვილეს კანადელთა ოჯახებმა. ბატონი ვასოს თქმით, კანადელებმა ბავშვებს შეუნარჩუნეს ქართული სახელები, მათ ზრდიან იმ შეგნებით, რომ ისინი ჩამოვიდნენ ლამაზი და მდიდარი ტრადიციების ქვეყნიდან, ისინი, როგორც ქართველი კანადელები, ისე იზრდებიან. კანადელებმა ბავშვთა სახლიდან წაყვანილი სნეული ბავშვები გამოაჯანმრთელეს და ზრუნვას არ აკლებენ.

— ჩვენ ვიქტორიის უნივერსიტეტთან გვქონდა მოლაპარაკება, რომელიც თანახმაა, რომ მოხდეს სტუდენტების გაცვლა, — გვეუბნება ვასილ მარგველაშვილი.

თავისი მეუღლის ჯულიანა პოვარის (იგი პროფესიით ექიმი-გინეკოლოგია), მისი კოლეგებისა და კანადის მთავრობის დახმარებით ამჯერად მესამედ წამოიღო ბ-ნმა ვასომ 35 ტონა ჰუმანიტარული დახმარება, რომელშიც შედის სამედიცინო აპარატურა, საავადმყოფოს საწოლები, ანესთეზიოლოგიური მოწყობილობა, ინვალიდთა ეტლები, სამზარეულოს აღჭურვილობა, ასევე, ვანკუვერის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ საქართველოსთვის გამოგზავნილი წიგნები. ამ დახმარების 70% სრულიად უსასყიდლოდ გამოეყო საქართველოს, დანარჩენის ღირებულება და გზის ხარჯები მოსკოვამდე ფირმა „Caucasia"-მ გაიღო, ვასილ მარგველაშვილის მიერ კანადიდან წამოღებული ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი ახლა მოსკოვის საწყობებშია შენახული. თბილისში ჩამოსული ბატონი ვასო ეძებს ორგანიზაციას ან კერძო პირს, რომელიც აღნიშნული ტვირთის მოსკოვიდან თბილისამდე ჩამოტანას იკისრებს, მაგრამ დღემდე ამაოა მისი გარჯა, არადა, დრო გადის, იზრდება შენახვის თანხები მოსკოვში; — თუ არავინ გამოჩნდა დამხმარე, საქართველოსთვის გათვალისწინებულ ასე საჭირო, ათეულ ათასობით დოლარის ღირებულების ტვირთს რუსეთი დაეუფლება — გულისტკივილით გვესაუბრება ბატონი ვასილ მარგველაშვილი.

— დასანანია, რომ საქართველოში კანონები არ არის, უცხოელ ბიზნესმენებს ის უკვირთ და განიზიდავთ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მიიღონ კანონები, რომლებიც უცხოელი ინვესტორების შემოსვლას გააიოლებს.

ჩვენ გვჯერა, რომ გამოჩნდებიან გონიერი ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც საქართველოს არ დაუკარგავენ კანადელთა მიერ თითქმის საჩუქრად გამოგზავნილ ესოდენ მნიშვნელოვან ტვირთს.

ფირმა „Caucasia" თავის მასშტაბებს აფართოებს, ექსპორტ-იმპორტის ფირმის ოფისი გახსნეს ლუქსემბურგში, განზრახული აქვთ კარიბის ზღვის აუზში ოფისის გახსნა, ასევე სურთ მინი-ჰოლივუდის აშენება საქართველოში. მოგეხსენებათ, ფილმის გადაღება ამერიკაში როგორი ძვირი ჯდება, ჩვენში კი გაცილებით ნაკლები დაჯდება ფილმის გადაღება და ძალიან დიდი მოგება დარჩება საქართველოს, ეს შედარებით შორეული პერსპექტივაა. ამჯერად კი, ბატონ ვასილ მარგველაშვილს სურს აშშ-სა და კანადაში რაც შეიძლება ბევრი ადამიანი გაეცნოს ახალგაზრდა ქართველი მხატვრების შემოქმედებას, ასევე ქართული ქორეოგრაფიის ნიმუშებს ბავშვების შესრულებით. ამ მხრივ უკვე მიმდინარეობს მუშაობა. წარმატება გვინდა ვუსურვოთ ფირმა „Caucasia"-ს და მის ენერგიულ ხელმძღვანელს თავის ბიზნესში, რომლის დიდი წილი ქველმოქმედებას, ორ ქვეყანას შორის დაახლოებას ხმარდება.

გიორგი ლალიაშვილი.

• • •

სურათზე: ვასილ მარგველაშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ამერიკის შეერთებული შტატები:

ტერორისტებს საკადრისი მიეზღებათ

1995 წლის 18 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქ ოკლაჰომა-სიტიში ტერორისტებმა ააფეთქეს სატვირთო მანქანა, რომელიც იდგა ფედერალური ოფისის შენობის წინ. აფეთქების შედეგად 9-სართულიანი შენობის წინა მხარე მთლიანად ჩამოინგრა. არის მსხვერპლი, მათ შორის, ბავშვები. ეჭვმიტანილი სამი ტერორისტიდან ერთი უკვე დაკავებულია. იგი აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ანტისამთავრობო ტერორისტული ჯგუფის წევრი.

18 აპრილს, შუადღისას თეთრი სახლის პრესდარბაზში სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, რომელიც შეპირდა მოსახლეობას, რომ მთავრობა ყველაფერს იღონებს „ავისმოქმედი ლაჩრების" დასაკავებლად. „ეს ადამიანები მკვლელები არიან და მათ ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც მკვლელებს", — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

კიდევ უფრო კონკრეტული იყო ბოროტმოქმედთა დანაშაულის და სასჯელის შეფასებაში იუსტიციის მინისტრი ქალბატონი ჯანეტ რენო. თეთრ სახლში საღამოს გამოსვლისას მან თქვა, რომ ფედერალური პროკურორები მოითხოვდნენ ამფეთქებლების სიკვდილით დასჯას.

„ნიუ-იორკ ტაიმსი",
სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო

ჩეჩნეთი:

როდის დაიწყება მოლაპარაკება?

ჩეჩნეთსა და მის ირგვლივ მოვლენათა განვითარება კვლავ საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებათა დიდ ყურადღებას იქცევს. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, ბოლო დღეებში ერთგვარად შენელდა ჩეჩნეთისადმი საგანგებო ინტერესი. ყურადღებას მიაპყრობენ იმ გარემოებას, რომ სამშაბათიდან გროზნოში, რუსეთის მხარის თანხმობით, ბინას დაიდებს და საქმიანობას შეუდგება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სამშვიდობო მისია. იგი უფლებამოსილია, დაუკავშირდეს კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს მოლაპარაკებაში [illegible]. ხელმძღვანელის განცხადებით გროზნოში მისია ექვს თვეს დაჰყოფს, შემდეგ მას უნდა გაუგრძელდეს [illegible] წესით. მისი შემადგენლობის — [illegible] გარდა მოლაპარაკების ორგანიზაციისა, მისიას ევალება [illegible] ადამიანის უფლებათა დაცვას და ხელი შეუწყოს ჩეჩნეთში საყოველთაო არჩევნების გამართვას.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა, როგორც საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, განაცხადა, რომ „მას რამდენჯერმე მიმართა სეპარატისტთა ხარდლობამ", კერძოდ, დუდაევის შეიარაღებული ფორმირებების შტაბის უფროსმა მასხადოვმა, მასთან და აგრეთვე ჯოჰარ დუდაევთან შეხვედრა სთხოვა. მინისტრმა თქვა, რომ იგი არ არის განწყობილი დუდაევთან შესახვედრად, მაგრამ „თუ ამას პრეზიდენტი ბორის ელცინი დაავალებს, იგი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე შეხვდება ჯოჰარ დუდაევს". ამასთანავე საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ რუსეთის არტილერია და ავიაცია ცეცხლს უშენდა და ბომბავდა რესპუბლიკის დასავლეთში ბოევიკების უკანასკნელ გამაგრებულ პუნქტს ბამუტს და მის მიმდებარე ტერიტორიას. მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლები. თითქმის მთლიანად დანგრეულია ბამუტი და სოფელი ვალერიკი, ხოლო ჩეჩენთა შეიარაღებული რაზმების ნაწილმა დაღესტნის საზღვარი გადალახა.

რუსეთი:

განიხილავენ სამხედრო რეფორმას

რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობით მოსკოვში პრეზიდენტ ბორის ელცინის თავმჯდომარეობით გაიმართება კონფერენცია რუსეთის შეიარაღებული ძალების რეფორმის შესახებ. სამხედრო რეფორმა ათი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს და სამხედრო მინისტრად სამოქალაქო პირი უნდა დაინიშნოს, ხოლო გენერალური შტაბის უფროსს განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ფუნქციები ექნება. იგი უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს დაექვემდებარება. შეიარაღებული ძალების რაოდენობა მილიონ 200 ათასამდე უნდა შემცირდეს. ნავარაუდევია გაუქმდეს ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტები.

(ინტერ-ტასისა და საქინფორმის მასალების მიხედვით).

დიალოგი უნდა გააქტიურდეს

თბილისი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ სტაბილურობის მემორანდუმის დებულებანი არ სრულდება

17 აპრილს ეროვნული რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძე შეეხო აფხაზეთის პრობლემას მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, რომ გალის რაიონში იმძლავრა დამნაშავეობამ და საქართველოში ჩამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი. ამ ვიზიტმა მაცოცხლებელი ნაკადი უნდა შეიტანოს ქართველ-აფხაზთა მოლაპარაკებაში, რომლის აქტიური განგრძობა მით უფრო აუცილებელია, რომ ზუგდიდში მყოფ ლტოლვილთა პროტესტებს შეიძლება მიენიჭოს უაღრესად სერიოზული ხასიათი, როდესაც მოახლოვდება 15 მაისი — რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მიცემული მანდატის მოქმედების ვადის დასრულების დღე.

მოწესრიგების პროცესს, როგორც თბილისში მიაჩნიათ, ვლადისლავ არძინბას აქტიურობის აფეთქებებზე უფრო მეტად უშლის ხელს სხვა ფაქტორები. რუსეთის პარლამენტში ჯერ კიდევ მოქმედებენ ძალები, რომლებიც ცდილობენ დაამუხრუჭონ ერთიანი საქართველოს აღდგენის პროცესის მიმდინარეობა. თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ოპოზიცია, შევარდნაძის შეფასებით, ასევე მოქმედებს საქართველოსა და რუსეთის საერთო ინტერესების საწინააღმდეგოდ. მიუხედავად ამისა, ისეთ პირობებში, როდესაც მოსკოვი არ მიმართავს აქტიურ შემხვედრ ნაბიჯებს პრობლემის პოლიტიკურად ეფექტიანი გადაჭრის გზაზე, ოპოზიციამ შეიძლება მოიპოვოს მორიგი შანსი ხელისუფლებაზე თავისი გავლენის გასაძლიერებლად.

გარდა ამისა, საქართველოს ხელმძღვანელებს შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი საფუძვლები შექმნილი მდგომარეობის გამო უკმაყოფილებისათვის. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ გასული წლის დეკემბერში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერებმა ალმა-ათაში უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით ხელი მოაწერეს მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის მემორანდუმს, ამასთან დაადგინეს, შევარდნაძის წინადადებით, გამოეჩინათ ერთნაირი მიდგომა სეპარატიზმის პრობლემისადმი. მაგრამ, დაგმეს რა ეს მოვლენა და გააკრიტიკეს რა იგი, თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურები არ ჩქარობდნენ მემორანდუმის დებულებათა შესრულებას. აფხაზეთს, ისევე, როგორც წინათ, შეუფერხებლად აწვდიან ელექტროენერგიას, ამასთან მისი დავალიანების თანხა ათობით მილიარდ მანეთს შეადგენს, არადა, ეს ვალი ტვირთად აწევს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტს. სოხუმის საზღვაო ნავსადგურში რეგულარულად შემოდის გემები, მოქმედებს ყველა სატრანსპორტო კომუნიკაცია, საავტომობილო, საჰაერო, სარკინიგზო, საზღვაო. აფხაზეთთან შეუფერხებლად მოქმედებს სატელეფონო, სატელეგრაფო და საფოსტო კავშირი. მოსკოვში, მაგალითად, აფხაზეთის წარმომადგენლობა კვლავინდებურად უძღვება თითქმის ყველა ოფიციალური სტრუქტურის საქმიანობას, მაგრამ თავის საჯარო გამოსვლებსა და ინტერვიუებში შევარდნაძე ამ პრობლემას არ შეხებია, თუმცა, როგორც კარგად ინფორმირებული წყაროებიდან არის ცნობილი, იგი მას დიდად აფიქრებს.

როგორც ჩანს, პრობლემის მოგვარების პროცესში მეტი სიცხადე გამოჩნდება მაისის შუა რიცხვებში, როდესაც გადაწყდება მშვიდობისმყოფელთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების საკითხი.

ნოდარ ბროლაძე,
„ნეზავისიმაია გაზეტა", 20 აპრილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ქართველი მწერლის ამერიკული, თურქული და კაპადოკიური ჩანაწერებიდან

მოგზაურობა წმინდა გიორგის სამშობლოში...

წმინდა ილია მართალი და წმინდა გიორგის სამშობლოს ქართული ტოპონიმიკა. მეფე დადიანე და წმინდა გიორგი

პირველი ნაწილი

1. ნიუ-იორკული ლირიკული ინტერმეცო

ნიუ-იორკში ყოფნის დროს ერთმა ქართველმა პროფესორმა და ჰოლივუდში დროებით მიწვეულმა ერთმა ქართველმა მსახიობმა დამიკვეთეს სცენარი პირობითი სათაურით „წმინდა გიორგი და მეფე დადიანე".

თან დაუმატეს: ამ სცენარს იმიტომ გიკვეთავთ, რომ თქვენს რომანებში თქვენ ავითარებთ აზრს წმინდა გიორგის კაპადოკიურობის და, მაშასადამე, შესაძლოა, ქართველური წარმომობის შესახებ.

— 363 თუ 365 წმინდა გიორგი შემთხვევით არ გვყავს ქართველებს, — შენიშნეს მათ, — აქ რაღაც დიდი საიდუმლოა დაფარული.

მე დიდი ენთუზიაზმით მოვკიდე ხელი სცენარისათვის საჭირო დამატებითი მასალების შეკრებას. პირველ რიგში, ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩავუჯექი ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას ნაწარმოებებს, შემდეგ ბიბლიის მსოფლიო საზოგადოებაში გადავინაცვლე... იქ ვნახე უნიკალური მასალები წმინდა გიორგის შესახებ...

სხვადასხვა მიზეზების გამო სცენარის დასრულება და ფილმის გადაღება ვერ მოხერხდა. დამრჩა ზოგიერთი ჩანაწერი, რომლებმაც შეიძლება დააინტერესოს ქართველი მკითხველი.

2. ილია ჭავჭავაძე წმინდა გიორგის სამშობლოს — ქართველური კაპადოკიის შესახებ

ვკითხულობ ნიუ-იორკში ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს. ეს საოცარი სიამოვნება და განცდაა. ილიას კითხვა მანჰეტენზე, ბროდვეისპირა მსოფლიო მნიშვნელობის ბიბლიოთეკაში. ამერიკელ ქართველებს შეუწირავთ ეს წიგნები ამ წიგნსაცავისათვის.

„...რომ კაპადოკიაში ოდესღაც ქართველები მკვიდრებულან და ეს ქვეყანა ჰკუთვნებიათ, მას იგი გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღესაც იმ ადგილებს, მდინარეებს და მთებს, სადაც კაპადოკია იყო, ქართული სახელები შერჩენიათ", — წერს დიდი ილია ჭავჭავაძე. მაშასადამე, ერის მამას, ილია ჭავჭავაძეს, წმინდა ილია მართალს არ ეეჭვება, რომ წმინდა გიორგის სამშობლო კაპადოკია ოდესღაც ქართველებით დასახლებულ ქვეყანას წარმოადგენდა.

3. რას ამბობენ ქრისტიანი და მუსლიმანი ავტორები იმის შესახებ, რასაც ილია ამტკიცებს...

როცა დიდი ილია ამ თეზისს ამტკიცებს, ის ეყრდნობა ქართველ და ევროპელ მეცნიერებს, არა მარტო ქრისტიან, არამედ მუსლიმან ავტორებსაც კი.

ილია ჭავჭავაძე წერს: „ამისი უტყუარი მაგალითები (ე. ი. რომ „კაპადოკიაში ოდესღაც ქართველები მკვიდრებულან და ეს ქვეყანა ჰკუთვნებიათ" (მოჰყავს განსვენებულს ჩუბინოვს (დ. ჩუბინაშვილს — ვ. ა.), კიპერტს, ვივიენ სენ მარტენს, ტესიეს, ჰაჯი ხალფას, მუსლიმანთა მწერალ-გეოგრაფის მოწმობით...".

ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში მე შევუკვეთე ის წიგნები, რომლებსაც დიდი ილია ჭავჭავაძე ეყრდნობა. იქ აღმოჩნდა ვივიენ სენმარტენის, ტესიეს, კიპერტის წიგნები.

...ვფიქრობ სცენარზე ნიუ-იორკში და მახსენდება ჩემი მოგზაურობა წმინდა ილიას მთებში ამერიკაში და წმინდა გიორგის სრუტის გადალახვა დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში ყოფნის დროს...

ილიას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა მეცნიერებაში, ისტორიაში, მაგრამ თვით ილია მარად უცვლელი სიდიდეა ქართულ ცნობიერებაში.

დიდი ილია თვით ნიცშესეულ ფასეულობათა გადაფასებას არ ექვემდებარება, რომ არაფერი ვთქვათ იმათზე, ვინც ნიცშეზე ნაკლებია.

სცადეს ილიას გადაფასება ერთ დროს, მათ შორის ბოლშევიკებმაც, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მათი იმპერია დაიმსხვრა, ილია ჭავჭავაძე კი წმინდა ილია მართლად აღიარა ქრისტიანობამ და მისი ხატი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ასვენია. მე მინახავს ის...

4. ილიას ხატი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში

I

მე გოლგოთაზე ვწერ ამ სტრიქონებს,
ჯოჯოხეთის და სამოთხის კართან...
მჰგავს ისტორია ანტიკურ დრამას
და მისტერიას თვით ღმერთი მართავს.
ვხედავ რემბრანდტულ ფერების გამას
და ხატად ქცეულ ილია მართალს.
ფსალმუნებს ვგალობ და ქართლზე ვფიქრობ
ერუსალიმის ხალვთო ჰიმკართან.

II

რამდენი ერი ჯერ ხალხს ხწოვდა,
ჩვენ, რომ ბიბლიის სტრიქონებს ვწერდით...
მიტომ აყენებს ჯვრის მონასტერი
წმინდა ილიას იესოს გვერდით.
მე ქრისტეს თასით წმინდა ღვინოს ვსვამ,
საწუთროვ, შენთან ვარ ალავერდი.
მამულს, მოჭრილი ვარ, ვითარც ტაო,
და რექვიემით დამტირის ვერდი...

III

წმინდა ილიას ამბავს გოლგოთის
იესოს სისხლით და ცრემლით ვწერდი...
და მომეჩვენა მე: ქართველის დედა
და რუსთაველი იდგნენ მის გვერდით...
მე იმ დღეს წამით გოლგოთას გზაზე
წმინდა ილიას ხატთან შევჩერდი,
ვაჟა-ფშაველას ფოლადით სუნთქავდა
ჯვარს მილურსმული იესოს მკერდი.
ღვთისმშობლის ხატთან მე მომელანდა
ოშკი, იშხანი, ბანა, შატბერდი...
მე ხელში მეპყრა ლუკას კალამი,
წმინდა ილიას წამებას ვწერდი...

IV

აქ, იორდანეს წმინდა ნაპირზე
ღვთის ანგელოზმა შემახო ფრთები.
აქ ქრისტეს გზაზე, სად ერთურთს ხვდება
ღვთისმშობლის ცა და გოლგოთას მთები, —
— მეორედ მოსვალ, ვითარც იესო,
თუ ვით ილია ცოცხლობ და კვდები...
მე მომეჩვენა ერთმანეთს ჰგავდა
წიწამურის და გოლგოთას გზები.
ვინც შუბლს ახვედრებს ილიას ტყვიას,
ცაში მიფრინავს იესოს ფრთებით...
მწამს მთაწმინდაზე თავსახსრუმალად
ილიას უდევს გოლგოთას მთები...
ჩვენ ვიბადებით ქრისტესთან ერთად
და ილიასთან ერთად ჩვენც ვკვდებით.

V

გოლგოთაზე რომ ჯვარს აცვეს კაცი,
ღვთის მონასტერთან, ახსოვს ამ ძელქვას, —
ის ჭავჭავაძე ილია იყო, —
ოღონდ მას იმ დროს იესო ერქვა.

VI

„როცა გოლგოთას ჯვარი ამქონდა,
როცა დამიდგა დღე აღსასრულის,
ისიც არ მქონდა, რაიცა მქონდა,
და ილიას ხატს შევწირე სული...
უკვდავად ვიქეც, არ მაქვს ამქვეყნად
არც დასაწყისი, არც დასასრული.
აწ და მარადის, ვიცი, იცოცხლებს
ჯვრის მონასტერში ქართული სული.

VII

მე გოლგოთაზე ჯვარი ამქონდა,
თუმცა გოლგოთას არ აკლდა ძელი.
ძნელია იყო იესო ქრისტე,
ილია იყო — უფრო ძნელი.
ილიას სიტყვა, მეტს ნიშნავს, ვიდრე
აღთქმა ახალი და აღთქმა ძველი.
მას ვერ მისწვდება, ვეღარასოდეს,
კაენისა და იუდას ხელი.
იცხოვრო ქვეყნად, ეს იმას ნიშნავს
მძიმე ჯვრით განვლო გოლგოთას ველი...

VIII

წიწამურთან რომ მოგვიკლეს კაცი,
სამშობლოს მამა და ერის ძელქვა, —
აი, ის იყო იესო ქრისტე,
მაგრამ მას იმ დროს ილია ერქვა.

იერუსალიმი. 1990 წ.

5. ილია ჭავჭავაძე ძველი მსოფლიოს, კაცობრიობის გეოგრაფოსის სტრაბონის ქართველური წარმოშობის თაობაზე

ილია წერს ცნობილი ქართველი მეცნიერის დ. ჩუბინაშვილის შესახებ: „თვით ქსენოფონტე, ჩუბინოვის სიტყვით, მოგვითხრობს, რომ ტრაპიზონი ბერძნების აშენებული ქალაქია კოლხიდელების ქვეყანაში.

სახელგანთქმული სტრაბონიც მოწმედ მოჰყავს, რომ კაპადოკია (კოლხიდელების, ქართველების — ვ. ა.). ერთის ნათესავის ერის სამკვდრო ადგილი ყოფილა თვითონ სტრაბონიც ამასიის ქალაქიდან იყო და დედა ჭანი (ქართველი — ვ. ა.) ჰყავდა და ამიტომ მისი მოწმობა დასაჯერიაო, ვითარცა კაცისა, იმ ადგილებში დაბადებულისაო. განსვენებული ჩუბინოვი (დ. ჩუბინაშვილი — ვ. ა.) ამ სტრაბონის ამბავს სტრაბონისავე წიგნით ამტკიცებს".

აქ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ამბავი ის არის, რომ დიდი ილია ჭავჭავაძე საჭიროდ მიიჩნევს ხაზი გაუსვას სტრაბონის დედით ქართველურ, ჭანურ წარმომობას.

6. ტრაპიზონი, ქსენოფონტე, სტრაბონი და წმინდა ანდრია

ქალაქი ტრაპიზონი? თავისი სახელწოდებით ლაზური, ჭანური სიტყვაა.

(შდრ. ქართული გვარები: ტრაპაიძე, (იმერული გვარი), ტრაპაია, (მეგრ. ჭან. გვარი), ტრაპში (ლაზური გვარი) და სხვ.).

დიდ ილიას მიერ გადმოცემული ქსენოფონტეს ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ ტრაპიზონში ბერძნებმა ააშენეს თავისი ახალშენი იმავე სახელწოდებით და არა თვით ქართველური (ჭანური, ლაზური) ქალაქი ტრაპიზონი, რომელიც ქსენოფონტემდეც არსებობდა და სტრაბონამდეც, როგორც ქართველური ქალაქი. (შდრ. „ტრაპიზონი" და „ლაზ-ონი" ქვეყნის სახელი) (აგრეთვე: ჰეროდოტეს „ლაზ-ონა").

საკუთრივ ტრაპიზონი არც ბერძნებისაა და არც სომხებისა, ის ქართველური ქალაქი იყო ათიდან-ბაბადან. გვარი ტრაპ-ში, ასევე ქართველურია და არა აფსუური (ამ გვარს საბედისწეროდ გააფსუებული ადამიანები ატარებენ).

როგორც მოგვითხრობს სალვთო ისტორია, სწორედ ქართველურ, ჭანურ ქალაქ ტრაპიზონში იქადაგა პირველად ქრისტიანობა ქართულ მიწაზე წმინდა ანდრია პირველწოდებულმა, რომელმაც შემდეგ ჯვარი აღმართა ენგურის პირას. იმ ადგილს დღესაც დაბა ჯვარი ეწოდება.

საქართველოს, კოლხეთის მიწას ახსოვს ქრისტეს მოციქულები კანანელი და იაკობ ალფესძე.

7. წმინდა გიორგის „კაპადოკია" და წმინდა ილიას „გეორგია"

„კაპადოკია" ქართველური სიტყვაა, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე — წმინდა ილია მართალი წერს (შდრ. ქართული ტოპონიმი „კაპანა" ქართული გვარები: „კაპა-ნა-ძე, კაპა-ნელი, კაპა-ნა-ვა და სხვა). არის ათასი სხვა საბუთი, არსებობს ამ თვალსაზრისით საერო და სალვთო ისტორიის დიდი ტრადიცია.

აქ, კაპადოკიაში, საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა ეთნოსი, მოძრაობდნენ სხვადასხვა ტომები და ხალხები, მაგრამ როგორც ბევრი ავტორი ამტკიცებს, იყო დრო, როცა კაპადოკია, (წმინდა გიორგის სამშობლო) ქართველური ტომებით იყო დასახლებული.

წმინდა გიორგის სამშობლოს — საქართველოს „გეორგია" ეწოდება გერმანულ და სხვა, ევროპულ და ამერიკულ ენებზე. ასეთია გადმოცემა, მითი.

დიახ, საოცარი მინიშნებაა ის, რომ საქართველოს „გეორგია" — (ბერძნულად „მხვნელ-მთესველთა", „მიწათმოქმედთა" ქვეყანა) ჰქვია. ამ „გეორგიადან" მომდინარეობს სემანტიკურად და ეტიმოლოგიურად ისტორიული საქართველოს ინგლისური სახელდება „ჯორჯია". (ინგლისელები ხომ „მანჩესტერს" წერენ — ბირმინგემს" კითხულობენ?! — „გეორგია" ჯორჯიად" აქციეს!). იმავე „გეორგიადან" მოდის ფრანგული „ჟორჟია", ესპანური „ხეორხია" და ა. შ. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქართველოს ქრისტიანობამდელი, წარმართული სახელი „გეორგია" („მიწათმოქმედთა ქვეყანა"), ქრისტეს შემდეგ „წმინდა გიორგის ქვეყნად" იქნა მოაზრებული.

სიტყვა „გეორგია" უცვლელად დარჩა, მაგრამ არსი შეიცვალა. და ეს თითქმის უმტკივნეულოდ განხორციელდა, რადგანაც „გიორგი" — მიწათმოქმედს" ნიშნავს ბერძნულად და ამ ბერძნული ფუძე სიტყვიდან იბადება, როგორც საქართველოს („გეორგია"), ისე „წმ. გიორგის" სახელმა.

ეს ერთი.

მეორე. მართალია „გეორგია" საქართველოს წარმართულ ეპოქაში ეწოდეს, მაგრამ ისიც საფიქრებელია (თუნდაც ჰიპოთეზის სახით), რომ მან მეორადი მნიშვნელობა შეიძინა — ქრისტიანულ ეპოქაში „წმინდა გიორგის სამშობლოს" თვალსაზრისით.

ეს ამ სიტყვის ზეარსი გახდა ქართველის ცნობიერებაში (მოგვეტევოს უფალმა, თუ ვცოდავთ, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვდომილ საქართველოს წმინდა გიორგი არ დაიწუნებდა თავის სამშობლოდ!).

იყო თუ არ იყო ქართული ეთნოსი კაპადოკიაში წმინდა გიორგის სიცოცხლის ეპოქაში, გარკვეული თვალსაზრისით, საქართველო მაინც წმინდა გიორგის სამშობლოა, რადგანაც „წმინდა გიორგის კაპადოკიაში" ხომ ისტორიული საქართველოს გარკვეული ნაწილი შედიოდა, (კოლხეთი, ლაზეთი, ჭანეთი). კაპადოკია ისტორიული [illegible], კოლხას გარკვეულ ტერიტორიასაც მოიცავდა.

ამას ადასტურებს მსოფლიო ისტორია.

მე დღეს, როცა ვამბობ: „გეორგია", ვგულისხმობ არა ამ სიტყვის წარმართულ მნიშვნელობას („მიწათმოქმედი"), არამედ მის ახალ ქრისტიანულ შინაარსს: წმინდა გიორგის ჯვარსა და ბოროტების დამთრგუნავ შუბსა და მახვილს.

დიახ, შემთხვევითი არც ის არის, რომ საქართველოს „გეორგია" ჰქვია და არც ის, რომ საქართველოს 363 წმინდა გიორგი ჰყავს. (კოლხები ასე ლოცულობენ: „გწყალობდეს 363 წმინდა გიორგი"-ო) 363 დღეს წელიწადში წმ. გიორგი მფარველობდა.

შემთხვევითი იქნებ არც ის არის, რომ დღეს საქართველოს — „გეორგიას" წინ მიუძღვის კაცი, რომელსაც ქრისტიანობაში გიორგი ჰქვია.

ყველაფერი კანონზომიერად მიმდინარეობს ისტორიაში. მე ასე მწამს.

8. წმინდა ილია მართალი წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს შესახებ

ნიუ-იორკში ილია ჭავჭავაძეზე, წმინდა ნინოზე, საქართველოზე ვფიქრობ...

ილია ჭავჭავაძე წერს: „თვით წმინდა გიორგი კაპადოკიელი იყოო და ამის გამო მთელს საქართველოში თაყვანცემულიო. წმინდა გიორგის ნათესავი იყო მოციქულთა სწორი წმინდა ნინო, აგრეთვე კაპადოკიელი, მაშასადამე, მცოდნე ქართულის ენისა, უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთაო".

ილია ჭავჭავაძე იქვე შენიშნავს: „ვისაც ჰსურს უფრო მეტი საბუთები ყოველ ზემოხსენებულისა, იხილეთ წერილი დ. ჩუბინაშვილისა „ეთნოგრაფიული გახილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიისა, ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა". („ივერია" 1899 წ. № 14, 15, 16, 17)".

დ. ჩუბინაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ეყრდნობა იმდროინდელ ევროპელ მეცნიერთა მოსაზრებებს.

მაშასადამე, ილიას მიაჩნია, რომ წმინდა გიორგი და წმინდა ნინო ორივე კაპადოკიიდან, ისტორიულ სამხრეთ საქართველოდან არიან.

ისტორიამ ბევრი რამ გადასინჯა, მაგრამ ეს დებულება, ვფიქრობთ, მაინც რჩება ძალაში, თუნდაც ისტორიული და ბიბლიური გადმოცემების სახით.

9. ილია ჭავჭავაძე და იოანე ზედაზნელი

მსოფლიო სახალხური საზოგადოების წიგნსაცავში ვზივარ და ქრისტიანულ საქართველოზე ვფიქრობ.

დავით ჩუბინაშვილს, — წერს დიდი ილია — „ის ჰქვია ახლო და იქვილად სარწმუნო საბუთიც მოჰყავს, რომელიც გვაჩვენებს, რომ კაპადოკიაში ქართველნი ყოფილან მკვიდრმოსახლენი. წმინდა მამანი — იოანე ზედაზნელი და მისნი თორმეტი მოწაფენი, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის დანერგვისა და გამტკიცებისათვის, კაპადოკიელნი ქართველები იყვნენო, თუ ქართული არა სცოდნოდათ, ძნელი საფიქრებელია იმედი ჰქონოდათ უენოდ გაერიგებინათ რამ და მოემწყვებინათ ერთი. მართალია, ეს წმინდა მამანი სირიელებად ხსენებულნი არიან, მაგრამ ძველნი მწერალნი კაპადოკიელთა ჰრაცხდნენ სირიელებად, ან მესოპოტამიელებადო".

ამას წერს დიდი ილია ცნობილი ქართველი ენათმეცნიერისა და რუსთველოლოგის დავით ჩუბინაშვილის თხზულებებზე დაყრდნობით, რომელიც, თავის მხრივ, ცნობილი ევროპელი მეცნიერის ტესიეს ნაშრომს „მცირე აზიის" და სხვა ავტორთა შრომებს იმოწმებს.

ბევრი რამ ჯერ კიდევ სადაოა ისტორიაში, არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, მაგრამ ილიას აზრი მაინც მარად იცოცხლებს, სანამ ცოცხლობს ქართველი ერი. რაც არ უნდა მოხდეს, ის საუკუნის ლეგენდად მაინც დარჩება.

ლადო ალფენიძე,
მწერალი, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიების ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვება - 50

მარად მწყობრში

გარდაცვლილზე ჩვეულებრივად იტყვიან ხოლმე: „იგი ჩვენგან წავიდაო“. ამას დავით გაბრიაძეზე ვერ იტყვი. თუმცა იგი ჩვენს შორის აღარ არის, მაინც ჩვენს შორისაა. ვფურცლავთ დრო-ჟამისაგან გაფერმკრთალებულ, 1942 წელს შექმნილი ქართული დივიზიის გაზეთს „წინ, გამარჯვებისაკენ“, მოგვიანებით „სამშობლოს დამცველის“ ფურცლებს, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორი გაბრიაძე იყო. ეს არის 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის, ომის შემდეგ კი გმირული ანაპის დივიზიის ნამდვილი, მიუკერძოებელი მატიანე. კითხულობ ამ მატიანეს და თითქოს ესაუბრები მის რედაქტორს, ამავე დროს ბევრი სტატიის, ნარკვევის, ინფორმაციის, ჩანახატის ავტორს, გულისხმიერ, გულითად ადამიანს. მასთან ურთიერთობა სულიერად გაკეთილშობილებს და გამაღლებს მიუხედავად იმისა, რომ ომის დამთავრებიდან არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარი საუკუნეა გასული. ამ მატიანის თითოეული სიტყვა დღესაც ვაჟკაცობით გივსებს გულს.

16 წელმა განვლო იმ მწუხარე დღიდან, როცა მას გამოვეთხოვეთ. იგი ხომ მაშინ სულ 68 წლისა იყო. მაგრამ აქედან 50 წელი მან ჟურნალისტიკას მოახმარა. რა დროს მისი სიკვდილი იყო... მას ხომ ასე უყვარდა სიცოცხლე, მას ჯერაც უნდა ეღვაწა ჟურნალისტურ სარბიელზე. როგორ უყვარდა სამუშაო, მაგრამ ომისა და ომის შემდგომი პირველი წლების გაჭირვებამ იჩინა თავი. როცა იგი გარდაიცვალა, მის ბევრ ფრონტელ მეგობარს, როგორც თავადვე თქვეს, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს დავით გაბრიაძეს უცებ ომის ოცდაექვსი წლის შემდეგ დასწეოდეს ფრონტიდან გამოტყორცნილი ნამსხვრევი.

ჩვენ დღესაც, წლების შემდეგ, სიამაყით ვამბობთ, თუ რა დიდხანს და კარგად იღვაწა თავისი ცხოვრების წლების მანძილზე ძნელ, მაგრამ საპატიო ჟურნალისტურ სარბიელზე ბატონმა დავითმა.

გაზეთები, მის მიერ დაწერილი ნარკვევები, სტატიები ცოცხალი დასტურია იმისა, რომ, თუ ჟურნალისტი ერთგულად ემსახურება ხალხს, თავისი გარდაცვალების შემდეგაც მარად მწყობრში რჩება, ეხმარება ადამიანებს ცხოვრებაში, ბრძოლაში, მშენებლობაში, გამარჯვებაში. არადა დავით გაბრიაძე სამშობლოსაც და ხალხსაც ერთგულად ემსახურებოდა!

1941 წლის 22 ივნისს არ დაელოდა უწყებას სამხედრო კომისარიატიდან, ხაზგასმული პერანგი და მსუბუქი ფეხსაცმელი გამოიცვალა და სამხედრო გიმნასტურა და კირზის ჩექმები ჩაიცვა. მაშინ შეწყვიტა სწორედ თავისი მშობლიური ხარაგოულის, მის მშრომელთა ცხოვრებაზე წერა და ბრძოლებისა და სანგრების, იმის აღწერას შეუდგა, თუ როგორ იბრძოდა ომის ცეცხლში ქართული დივიზია. სწორედ 296, 392, 406-ე მსროლელი დივიზიების გაზეთები, სხვა სამხედრო გაზეთები პირველნი აღწერდნენ ქ. ლესელიძის, პ. ჩანჩიბაძის, მ. გაბოკიძის, ნ. ადამიას, ა. წურწუმიას, მ. ადუაშვილის, მ. ბუხაიძის, გ. მჭედლიშვილის, ჯ. ბენდელიანისა და ბევრ სხვათა გმირობას.

არა მარტო დავით გაბრიაძის რედაქტორობით გამომავალ გაზეთებში, არამედ სხვა გაზეთებშიც, მათ შორის რესპუბლიკურ გაზეთებშიც, სხვა გამოცდილ, მაშინ უკვე საკმაოდ ცნობილ მეომარ ჟურნალისტთა ა. თევზაძის, ა. კელენჯერიძის, პ. შამათავას, დ. ლომთაძის, ნ. კაკუშაძის, ა. ხულავას, ი. კეჩერაშვილის, ა. კოკილაშვილის, ა. ჩლაიძის, დ. ესაკიას, ს. ყურაშვილისა და სხვათა ხელმოწერების გვერდით შეხვდებით დ. გაბრიაძის ხელმოწერასაც.

დავით გაბრიაძეს მეგობრობა აკავშირებდა არა მარტო ჟურნალისტებთან, არამედ ბევრ ქართველ მწერალთან და პოეტთან, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან, რომლებიც უშუალოდ მტერს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ებრძოდნენ. მათ შორის იყვნენ დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, ა. გომიაშვილი, ნ. აგიაშვილი, პ. აბრამია, შ. რადიანი, ი. ანდრონიკოვი, ქ. გოგოძე, ლ. ესაკია, შ. ამისულაშვილი და სხვები.

თავად გაზეთ „წინ, გამარჯვებისაკენ“ რედაქცია კარგად იცნობდა ისეთ მუშაკებს, როგორიც იყვნენ რევაზ ჯაფარიძე, კოტე მესხი, იოსებ ნონეშვილი. მათ აქ მოჰქონდათ თავიანთი მოთხრობები, ლექსები, უზიარებდნენ მკითხველს შთაბეჭდილებებს ომის შესახებ, ოცნებობდნენ თავიანთ ოჯახებზე, მთელი საქართველოს ბედნიერ მომავალზე.

ის, რასაც ისინი წერდნენ, რასაც წერდა და პროპაგანდას უწევდა თავად დავით გაბრიაძე, არასოდეს არ იყო განკუთვნილი მკითხველთა ვიწრო წრისათვის. ისინი ყველას ეკუთვნოდა. მათში ლაპარაკია არა მარტო ბრძოლებსა და შეტაკებებზე, ომის საშინელებაზე, სიკვდილზე, შეტევაზე და უკანდახევაზე, არამედ, ხატოვნად რომ ვთქვათ, დროის ბარომეტრიც იყო.

ისევე როგორც ჟურნალისტთა სხვა სახელოვანმა სამხედრო პლეადამ, დავით გაბრიაძემაც გაიარა მკაცრი არმიის სკოლა და ამ სკოლას უმადლიდა ყოველივე საუკეთესოს, რაც შექმნა თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობის მრავალი წლის მანძილზე.

— ჩემი ცხოვრების მთავარი გატაცება მუდამ წინ მიმიძღოდა და ამით ვხელმძღვანელობდი მარად. გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს იყო ჩემი ჟურნალისტური შემოქმედება, — ხშირად იტყოდა ხოლმე დავით გაბრიაძე ამას. — და ამ შემოქმედებაში ყოველთვის ვეძებდი სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს, პატიოსნებას.

პირდაპირი, პატიოსანი, ვაჟკაცური, გულამდილი და გულისხმიერი ყველაფერში და ყოველთვის, მომთხოვნი იყო როგორც საკუთარი თავის, ისე სხვებისადმიც. არადა, მოითხოვდა მკაცრად — ლამის სისასტიკემდე. იგი ახალგაზრდებს კაცურკაცობას ასწავლიდა. აჩვევდა მათ ახალი ცხოვრებისათვის, არწმუნებდა, რომ ომის შემდეგაც იგი რთული და ძნელი იქნებოდა, სადაც ადამიანს ბევრი რამ მოეკითხებოდა. მისი აღზრდილები დღეს ამ გაკვეთილებს მადლიერებით იხსენებენ.

გამარჯვების დღეს ცოცხლად გადარჩენილი სამხედრო ჟურნალისტები დავით გაბრიაძის გარეშე ხვდებიან. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი ჩვენთან აღარ არის. პირიქით, დღითი დღე იგი სულ უფრო ნათლად წარმოჩინდება ქართველ ჟურნალისტთა დიდ ოჯახში.

რომან ერაძე.

სურათზე: დავით გაბრიაძე. 1943 წელი.

თეიმურაზ მაღლაფერიძის გახსენება

„ჩვენდა საწვრთნელად...“

თითქოს გუშინ იყო, არადა ერთი წელი გავიდა თეიმურაზ მაღლაფერიძის გარდაცვალებიდან. იგი ისეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, როგორზეც ბალზაკი ამბობდა, თვით ეშაფოტთანაც თავისი ხელოვნების ერთგული იქნებაო. ასეთი იყო ბატონი თემური, თავისი მრწამსისა და სამშობლოს, თავისი ოჯახისა და დიდი სამეგობროს მუდამ ერთგული და მოსიყვარულე კაცი. გიორგი ჯაფარიძის ხსოვნისთვის დაწერილ „რექვიემს“ დაურთო: „ვუძღვნი აწ უკვე შეთხელებულ რიგს მეგობრებისას, რომელთა მეგობრობაც ჰაერივით მინდა და მეშინდება“. მეგობრები და მათთან ყოფნა სურდა, მაგრამ ბოლო ხანს იშვიათად-ღა ახერხებდა „ამ დუხჭირ, პრაგმატულ დროში“.

არ ვიცი, არსებობს თუ არა ჭეშმარიტი ბედნიერება. ალბათ, მაინც არსებობს, — წერს ბატონი თემური „რექვიემში“. თითქოს იქვე ეპაექრებოდა „ჭეშმარიტი ბედნიერების“ არსებობაში, მაგრამ მე მინახავს მისი გაბრწყინებული სახე შვილიშვილების ყოველ დანახვაზე, მინახავს, როგორ ეფერებოდა და ესიყვარულებოდა მათ ჭეშმარიტად ბედნიერი თემურ მაღლაფერიძე. იმ წუთებში ის მართლაც ბედნიერი იყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ამა სოფლის ამაოებაზე დაფიქრდებოდა, შუბლს შეიჭმუხნიდა და გოროზი ხდებოდა. ამ სიმკაცრეში იყო რაღაც ამაღლებულიც...

მკაცრი იყო ბატონი თემური, მკაცრი და შეუვალი: მოფერებაც ვაჟკაცური იცოდა და გაწყრომაც. სხვათა დასანახად არ გაგიწყრებოდა. გვერდით გაგიხმობდა და ცალკე გეტყოდა სათქმელს. კანტი ამბობს, ორი რამ ავსებს ჩვენს სულსა და გულს სულ ახალი და მზარდი საკვირველებით: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემშიო. თემურ მაღლაფერიძისთვისაც სალოცავი იყო საქართველოს ცა და მიწა, ცხოვრებითაც მორალის კანონით ცხოვრობდა. თავის სულიერ შვილთან ირმა არჩუაშვილთან უმაღლესი სკოლის პრობლემებზე საუბარში გულისტკივილით ამბობს, წელს 14 ნაწერი გავასწორე და 11 უმდაბლესი ნიშანი დავწერეო. თემურ მაღლაფერიძე არასოდეს წავიდოდა უზნეობასთან კომპრომისზე. მისთვის მიუღებელი იყო დილეტანტიზმი და უპასუხისმგებლობა და არასოდეს ივიწყებდა მორალურ კანონს.

თემურ მაღლაფერიძეს ეკუთვნის სიტყვები, რომელთა მიხედვითაც უფრო კარგად ვხედავთ მის სულიერ განწყობას: „ცა იყო ლურჯი, ლურჯი, მოწკრიალებული, ისეთი, „ანგელოზს რომ დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი“. ვიდექით ენაჩავარდნილები, შინაგანი თრთოლვით აყვანილნი, როცა სულის სიღრმიდან დაძრული ნათელის ჩქერალი მთელ არსებას [illegible] ლხინით სიამით და გინდა ასე გაგრძელდეს დიდხანს, დიდხანს, სამუდამოდ, რამეთუ ესაა ჭეშმარიტი მიახლება სამყაროს იდუმალ სულთან, სიყვარულთან, ღმერთთან“.

ვერაფერით შეეგუა ბოლოდროინდელ მოვლენებს, ვერარა გაეგო ამ ცხოვრებისა, თითქოს დაბნეული დადიოდა, უფრორე შეფოთებული... თავისი მეგობრების, ინტელიგენციის იმ ნაწილის ტკივილი სტკიოდა, „რომელსაც არაფერი აბადია გარდა ცოდნისა და შეუბღალავი ზნეობისა“, რომლისთვისაც უცხოა „ცელობა“ და „ბალახად“ ყოფნას ამჯობინებს.

ალბერ კამიუზე წერს, რომ იგი „ეძიებს საყრდენ წერტილს ადამიანისთვის, რომლის თვითშემეცნებაც ნაპირს ებლება მოწყვეტილი. ხომალდი მიცურავს, გემბანი ირწევა, ტალღები ხან გვერდებს ელვება, ხან — კიჩოს, ჩვეული რელიგიური და ზნეობრივი სიმინჯები ამოგლეჯილია და გაშმაგებით დაქანაობს ადამიანი ღია ზღვაში ისე, რომ ვერსად უპოვნია უმაღლესი აზრი“. მუდამჟამს ამ უმაღლესი აზრის ძიებაში იყო ბატონი თემური. ჩვენთვის — ახალგაზრდებისთვისაც კამიუსავით ეძებდა „საყრდენ წერტილს“, ჩვენთვის, ვისი „თვითშემეცნებაც ნაპირს ებლება მოწყვეტილი“. დიდად განიცდიდა რელიგიური და ზნეობრივი სიმინჯების რღვევას და სულ მუდამ ზნეობაზე გვესაუბრებოდა. აღფრთოვანებული იყო გია აბესაძის „განსაცვიფრებელი, გონისშემძვრელი“ საქციელით, „მაღალი გმირობა მქვია, ქართული გენის გიზგიზა უტეხობა მქვია. ინტელიგენტი კაცის მიერ დაბნეულ ადამიანთა გამოსაფხიზლებლად, საკუთარი სულისა და ხორცის ჯვარცმა მქვია“, — ასე აფასებს თემურ მაღლაფერიძე გია აბესაძის ქმედებას და იქვე გულისტკივილით ამბობს: „მაგრამ ქვეყანა ისეა გვემული და დაფლეთილია, შინაომებისგან სისხლით დაწრეტილი, გათითოკაცებული და ციდამტკაველური ამბიციებით გაბლენძილი“.

„კავკასიონის“ რედაქციაში მუშაობისას ბატონი თემური ყველა ჩვენთაგანს კაცობისა და მეგობრობის, ურთიერთატანისა და გატანის, ღირსების უბადლო მაგალითს გვაძლევდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ახალგაზრდები ერთგვარად ვეკრძალებოდით. მის გამოხედვაში იყო რაღაც ამაღლებული, ხოლო სიტყვა მისი იყო მკაცრი და სამართლიანი.

...თემურ მაღლაფერიძის დაკრძალვაზე შხაპუნა წვიმა წამოვიდა. და იმ დღეს ცა არ იყო „ლურჯი, ლურჯი, მოწკრიალებული, ისეთი, „ანგელოზს რომ დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი“. ვიდექით გაბევებულნი, ვერც წვიმას ვგრძნობდით და ვერც სიცივეს, რადგან იმ დღეს ვემშვიდობებოდით კაცს, რომლისთვისაც უმთავრესი იყო „ჭეშმარიტი მიახლება სამყაროს იდუმალ სულთან, სიყვარულთან, ღმერთთან“.

გრიგოლ კიკნაძის გახსენებას ბატონი თემური ილიას სიტყვებით ამთავრებს:

„დიდ ხანს და დიდ ხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა სამოძღვროდ, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელისა ხსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად...“

მეც მინდა ამ სიტყვებით დავამთავრო ეს მცირე გახსენება.

მარადიული ნათელი გადგეთ, ბატონო თემურ!

ბონდო მძინარაშვილი.

ინფორმაცია

„შავი კატა“ პრემიერის მოლოდინშია

თბილისის ხანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო თეატრში მიმდინარეობს ჯაბა იოსელიანის პიესის „შავი კატის“ რეპეტიციები. მას დგამენ თეატრის სცენური კოლექტივი და სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე ქანთარია.

სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა აივენგო ჭელიძემ.

პრემიერის დროს, რომელიც მაისის შუა რიცხვებისათვის არის ნავარაუდევი, მაყურებლები შეხვდებიან თეატრის წამყვანი მსახიობების ნ. ყურაშვილის, ა. ალავიძის, მ. ხარჩილავას, მ. ტალიაშვილისა და სხვათა ხელოვნებას.

თეატრს განზრახული აქვს დადგას ჯაბა იოსელიანის კიდევ ერთი ნაწარმოები — „ლიმონების ქვეყანა“.

მიეცი ნიჭსა გზა ფართო!

ცნობილი იტალიური ფილმის „მოიპარეს ტრამვაი“ ქართულ ვერსიაზე მუშაობას შეუდგნენ ქალაქ ქუთაისში.

სცენარი იწყება ასე:

ქალაქი დასაძინებლად ემზადება.

18 აპრილი. 22 საათი და 30 წუთი. წერეთლის ქუჩაზე მშვიდად დგას დაღლილი ტროლეიბუსი. მას უახლოვდებიან ქუთაისელი ხვიჩა ცნობილაძე, ქუთაისის დახელოვნების ინსტიტუტის მშენებლობის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, იქაურივე დავით პირველაშვილი, ქუთაისის სამედიცინო კოლეჯის სტომატოლოგიური ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, აფხაზეთიდან ლტოლვილები მალხაზ მეტრეველი და ალეკო რატიანი, სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტები. ქვეყნის ეს მომავალი ძალა, ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე, ჩაამსხვრევს უკანა კარის მინებს, შემდეგ ფრთხილად და ზუსტად ახსნიან „შტანგებს“, უერთებს ელექტრომავთებს და შეეცდებიან ტროლეიბუსის გატაცებას.

ამ დროს გამოჩნდება ადგილობრივი პოლიცია. ბოროტმოქმედება აღკვეთილია.

გამომძიებელი მარგანია ამთავრებს ფილმის ეპილოგზე მუშაობას. ფილმის სათაური, როგორც მიხვდით, არის „მოიპარეს ტროლეიბუსი“.

ხელისუფლება ადგილზე

ძირმწარე პროექტი კენწეროში გატკბილდა

ანუ უდანაშაულობის პრეზუმფციის ახალი ასპექტი

ქარელის რაიონში კომერციული საწარმოები დიდ პატივში ჰყავთ, ისეთში, რომ ადგილობრივი საგადასახადო ინსპექცია და ამ სამსახურის უფროსი რ. ხანიშვილი ვერც კი გიპასუხებენ, რა მოგება აქვს ამა თუ იმ საწარმოს, როგორია ადგილობრივ ბიუჯეტში მის მიერ გადარიცხული თანხები და საერთოდ, რიცხავენ თუ არა თანხებს ბიუჯეტში.

— როცა ქართლის მხარის კონტროლის პალატა ქარელის რაიონში ბიუჯეტის შედგენა-შესრულებისა და იქიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიმართულებებს სწავლობდა,— თქვა ამ პალატის თავმჯდომარემ ავთანდილ იმნაძემ — ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ბიუჯეტის სასარგებლოდ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან 36 მილიარდზე მეტი კუპონის ამოღება მოუწევდა, რაც რაიონის შარშანდელი ცხრა თვის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 48 პროცენტია.

ამ ციფრების უკან უნიათობისა და უპასუხისმგებლობის, უკონტროლობისა და საქმის თვითდინებაზე მიშვების ფაქტებია. და რაც ყველაზე გულსატკენია, საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში რაიონის გამგეობის არაკომპეტენტურობაა.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ფირმები და კოოპერატივები უმოქმედოდ არიან და მათი გაუქმების შესახებ რაიონის გამგეობას ჯერაც არ უმსჯელია. 1993 წელს არასახელმწიფო ორგანიზაციებიდან 13 მილიონი კუპონი შემოვიდა. ქართლის კონტროლის პალატის მუშაკებმა კი მხოლოდ ერთი — ფირმა „ნუკრის“ (დირექტორი ნუკრი კორკოტაძე) შემოწმებისას ამ ფირმას დაარიცხეს და ამოიღეს 329 მილიონი(!) კუპონი. აი, ასე „იღვწის“ გამგეობა ადგილობრივი ბიუჯეტის შესავსებად.

საბავშვო ბაღებს რომ თავი დავანებოთ, სადაც საკვები პროდუქტების დატაცების იმდენად სამარცხვინო ფაქტები გამოვლინდა, რომ დასაჯერადაც კი უხერხულია, მთლიანად ჩაშლილია საბუღალტრო აღრიცხვა რაიონულ საავადმყოფოში. აქ საერთოდ არ ადგენენ კვარტალურ და წლიურ ბალანსებს, ისევე როგორც რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში, სადაც ზოგიერთ ფირმასა და საზოგადოებრივ მეურნეობაში სხვადასხვა სახის დარღვევები და ნაკლოვანებანი გამოვლინდა.

აი, ასეთი მძიმე საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებით წარსდგნენ ქარელის რაიონის თავკაცები ქართლის მხარის კონტროლის პალატის პრეზიდიუმზე, რომელმაც რაიონის ბიუჯეტის შედგენა-შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ათვისების საკითხი განიხილა.

უნდა ითქვას, რომ, თუმცა დადგენილების პროექტი ძირმწარე იყო, კენწეროში (პალატის პრეზიდიუმზე საკითხის განხილვისას) საოცრად გატკბილდა.

ცნობად მიიღეს, რომ რაიონის გამგებელი თემურ გოჩაშვილი და აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსი გიორგი ცხოვრებაშვილი აღნიშნულ თანამდებობებზე შედარებით ახლადდანიშნული არიან (იმ დროისათვის გამგებელი უკვე 10 თვის მანძილზე ასრულებდა თავის მოვალეობას), თანამდებობიდან გადაყენებას გადაურჩა რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსი რ. ხანიშვილიც, — მას ამ ზაფხულამდე გაუგრძელეს ვადა, საშუალება მისცეს თავადაც გამოსწორდეს და მდგომარეობაც გამოასწოროს. რაიონულ სამსახურებს დაავალეს გარდაქმნან მუშაობა, მიაღწიონ წესრიგს საქმიანობის ყველა სფეროში.

გურამ ვაშაკიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორესპონდენტი.

რედაქციისაგან: ქართლის მხარის კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა ამ საკითხზე თებერვალში იმსჯელა. მას შემდეგ მეორე თვე გადის, ალბათ „ახლადდანიშნულმა“ ბატონებმა ადგილებზე საქმე გამოასწორეს. ასეა თუ არა, იმედია, გაგვცემს პასუხს კონტროლის პალატა.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ!

დიახ, ხუთასი!

მიმდინარე წლის 15 აპრილს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ლეხ ვალენსას მიმართვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისადმი — საქართველოსა და პოლონეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 500 წლისთავთან დაკავშირებით. გთხოვთ, თუ ამის შესაძლებლობა გექნებათ, მოკლედ გვიამბოთ ამ ფაქტთან დაკავშირებით.

ი. თაბაგარი,
გარდაბანი.

ჩვენს მკითხველს უპასუხებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ტაბაღუა.

1492 წლის გაზაფხულზე ესპანეთის კათოლიკე მეფეებმა (იზაბელამ და ფერდინანდმა) იერუსალიმში გაგზავნეს ელჩი, რათა ეცნობებინათ ესპანეთიდან არაბების განდევნისა და ქ. გრანადის განთავისუფლების (1492 წ.) შესახებ.

ამას დაემთხვა ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის (1478-1505 წწ.) მიერ ეგვიპტის სულთანთან თავისი ელჩის გაგზავნა. იმავე 1492 წელს, როდესაც უკანდაბრუნებული ქართველი ელჩი იერუსალიმში ჩავიდა, აქ შეხვდა ესპანეთის კათოლიკე მეფეების ელჩს და შეიტყო ესპანეთიდან არაბების გაძევების შესახებ. ქართველმა ელჩმა ესპანეთის ელჩი საქართველოში წამოიყვანა. კონსტანტინემ ის სიამოვნებით მიიღო და გადაწყვიტა მისთვის თავისი ელჩი გაეყოლებინა დედოფალ იზაბელასთან. კონსტანტინემ თავის ელჩს გაატანა წერილები დედოფალ იზაბელასთან და რომის პაპთან. მის წერილში გამოხატული იყო სიხარული, არაბებისაგან ესპანეთის განთავისუფლების გამო.

კონსტანტინე დედოფალს სწერდა, რომ „საქართველო იმყოფება სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში. ბიზანტია, ტრაპიზონი, სერბია დაეცნენ... ყველგან მუსლიმანები ბატონობენ. საქართველო მთლიანად იზოლირებული და გარსშემორტყმულია სპარსელთა, თურქთა და არაბთა ურიცხვი ჯარებით. ასე რომ, საშინელი საშიშროება ემუქრება მას... ჩვენმა მტრებმა ჩვენ მოგვაყენეს უამრავი უბედურება. ისინი სამ რამეს მოითხოვენ ჩვენგან: ვუხადოთ მათ ჩვენ შესაძლებლობაზე უფრო მეტი ხარკი; მონაწილეობა მივიღოთ მათ ომებში და მივიღოთ ისლამი“.

დაბოლოს, კონსტანტინე სთხოვდა დედოფალ იზაბელას, მოეწყო ექსპედიცია კონსტანტინოპოლის განსათავისუფლებლად, ხოლო თვითონ მთელი თავისი ძალებით მიიღებდა ამ ბრძოლებში მონაწილეობას.

სიმანკას არქივში (ესპანეთი) შემონახული ცნობების მიხედვით, საიდანაც მე ავიღე ეს მასალა, ესპანეთის ელჩისათვის კონსტანტინე მეფეს ორი პიროვნება გაუყოლებია: ნილი და ზაქარია (ორივე ბერი).

ამ ელჩობამ გაიარა პოლონეთზე. XV საუკუნის ბოლოს პოლონეთი ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო ევროპაში. ამ დროს შეიქმნა პოლონეთ-ლიტვის უნია („ჟეჩ პოსპოლიტა“). საქართველოს მეფე-მთავრები ცდილობდნენ დაემყარებინათ კონტაქტები ევროპის სახელმწიფოებთან ანტითურქული კოალიციის შექმნის მიზნით. პოლონეთიც დაინტერესებული იყო ამ საკითხით.

როდესაც ზემოხსენებულმა ელჩობამ პოლონეთზე გაიარა, პოლონეთის მეფე ალექსანდრე იაგელონჩიკი დაინტერესდა ამ ელჩობით. ელჩები შეხვდნენ პოლონეთის მეფეს, რომლის განკარგულებით კონსტანტინეს წერილი ითარგმნა რუსულად. (ეს თარგმანი ნახა პროფესორმა იასე ცინცაძემ და მას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა).

ელჩებმა გზა განაგრძეს ესპანეთისაკენ და, ზემოხსენებული ესპანური არქივის თანახმად, 1495 წლის 30 იანვარს ესპანეთში ჩავიდნენ.

ეს ითვლება საქართველოსა და პოლონეთს შორის პირველი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების თარიღად.

ხსოვნა



ივანე კრასოვი

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მთავარი სამმართველოს ობიექტების დაცვის ორგანიზაციის განყოფილების ოფიცერი, პოლკოვნიკი ივანე თევდორეს ძე კრასოვი.

იგი დაიბადა 1922 წელს ლიპეცკის ოლქის სოფელ ტელეგინოში. 1941-88 წლებში მსახურობდა საბჭოთა ჯარების რიგებში, გაიარა ყველა საფეხური რიგითიდან დივიზიის შტაბის უფროსის მოადგილემდე. იყო სამამულო ომის მონაწილე, დაჯილდოებული იყო სამი ორდენითა და თერთმეტი მედლით.

1993 წლის 18 ივნისიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს ოფიცერ-სპეციალისტის თანამდებობაზე.

პოლკოვნიკ ივანე თევდორეს ძე კრასოვის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენი მუშაკების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო.

ალბანელები თბილისში

დღეს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე დაიწყება ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი შეხვედრა საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებ გუნდებს შორის (VII შესარჩევი ჯგუფი).

შეგახსენებთ, რომ შარშან, დეკემბერში მეტოქეთა პირველი მატჩი ტირანაში სტუმრებმა მოიგეს 1:0 (გოლი შოთა არველაძემ გაიტანა). კონტინენტის პირველობის შესარჩევ ეტაპზე გამოსვლის 36 წლის მანძილზე ჩვენმა დღევანდელმა მოწინააღმდეგეებმა 38 თამაშიდან 4 მოიგეს, ამდენივე ფრედ დაასრულეს და 30 წააგეს ბურთების შეფარდებით 19:84. სტუმრად 19 ორთაბრძოლიდან „არწივთა ქვეყნის“ წარმომადგენლებს ჯერ ქულაც კი არ აუღიათ (ბურთები 5:65).

გუშინ ალბანელი ფეხბურთელები საქართველოს დედაქალაქში ასეთი შემადგენლობით ჩამოფრინდნენ: ფოტო სტრაკოშა (პირეოსის „ოლიმპიაკოსი“), რუდი ვატა (გლაზგოს „სელტიკი“), არიან ჯუმბა და ორჯენ ბელაი (ორივე — საბერძნეთის „იანინა“), სალვადორ კაჩაი (ნიქოზიის „ოლიმპიაკოსი“), სულეიმან დემოლარი (ათენის „პანათინაიკოსი“), ალტინ რაკლი (გერმანიის „ფრაიბურგი“). ინდრიდ ფორტუზი და სალმან მალკო (ორივე — „ტირანა“), ილი შეხუ (ხორვატიის „შიბენიკი“), ლეფტერ მილო (საბერძნეთის „ლარისა“), არტურ ლეკბელო (სალონიკის „არისი“), ბიედარ კოლა (ათენის „აპოლონი“), ჰისენ ზმიანი (საუდის არაბეთის ფეხბურთის კლუბი), ბლენდი ნალბანი, სოკოლ კუშტა, ედმონდ დოსტი, ლეონარდ პრელოში, ედმონდ დალიპი და სოკოლ პრენგა. მთავარი მწვრთნელი — ნეპტუნ ბაიკო.

დღევანდელი მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ მოულოდნელი „საკადრო პრობლემების“ წინაშე აღმოჩნდა მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე — ტრამვირებული გიორგი ნემსაძისა და კახი ცხადაძის გარდა, საეჭვოა მინდორზე გიორგი ქინქლაძის გამოჩენაც. ამ მატჩისათვის ემზადებიან აკაკი დევაძე („როსტსელმაში“), ირაკლი ზოიძე, ბესიკ ბერაძე, ნუგზარ ლობჟანიძე, გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი (ყველა — თბილისის „დინამო“), ზაზა რევიშვილი და მურთაზ შელია (ორივე — ვლადიკავკაზის „სპარტაკი“), გიორგი ჩიხრაძე და იური გაბისკირია (ორივე — შეპეტოვკის „ტემპი“), დიმიტრი კუდინოვი (კვიპროსის „არისი“), გელა ინალიშვილი (ბერლინის „ტენის-ბორუსია“), კახი გოგიჩაიშვილი და დავით ჯანაშია (ორივე — „სამტრედია“), შოთა არველაძე (თურქეთის „ტრაბზონსპორი“), თემურ ქეცბაია (ათენის „აეკი“), დავით ყიზილაშვილი (კვიპროსის „ომონია“) და გიორგი ღუდუშაური (გერმანიის „ზალმროორი“).

საქართველო—ალბანეთის მატჩის მსაჯები არიან ჰოლანდიელები რ. ლუინგი, რ. ოვერკლიფტი და ტ. ვან დაიკი (სარეზერვო — ფ. სტერკი), უეფას ოფიციალური დელეგატი — გეორგ კრუტელევი (ფინეთი).

დღესვე მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში ერთმანეთს ხვდებიან **გერმანია—უელსი და მოლდოვა—ბულგარეთი.**

მალეს, მალეს, ვერ დამალეს

ყოველ ორშაბათს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე რადიოინტერვიუს იძლევა. თითქმის ყველა რადიოინტერვიუში იგი გულისტკივილით ამბობს, რომ პურისა და ფქვილის რეალიზაციით მიღებული თანხა სრულად არ მიდის მაღაზიიდან ბანკამდე, ბანკიდან ბიუჯეტამდე და ა. შ. ვიღაც იჯიბავს ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული სურსათის ფულს, რომლის ფასიც იზრდება და იზრდება ისე, რომ მოსახლეობას მისი ყიდვის თავი აღარ აქვს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაირკვეს, ვინ გვაცლის პირიდან ლუკმას, ვინ მდიდრდება გამოფხეკილი ჯიბიდან ხელის კანკალით ამოძვრენილი ჩვენი გასაცოდავებული კუპონით? ვინ და...

თბილისში არის სახელმწიფო საწარმო „მშვენება“. სწორედ ამ საწარმოდან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაიტაცეს პურის რეალიზაციიდან მიღებული თანხა — 4 მილიარდი კუპონი. „მშვენებაში“ დანაშაული აღიარეს, მაგრამ უკან მხოლოდ 600 მილიონი დააბრუნეს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები ყველაფერს აკეთებენ დარჩენილი თანხის ამოსაღებად, თუმცა... რა დრო, ნერვები, თანხები დასჭირდება „შეჭმულის“ უკან დაბრუნებას? ან დაბრუნდება იგი მთლიანად?

თბილისში, ისნის რაიონში მდებარე № 57 მაღაზიის გამგემ აკოფ არუთინოვმა ასევე მიითვისა პურის რეალიზაციით მიღებული — 180 მილიონი კუპონი. ეს თანხა მთლიანად ამოღებულია. მთლიანად ამოღებულია ის 98,5 მილიონი კუპონიც, რომელიც ამავე რაიონში № 58 მაღაზიის გამგემ ნანული მამუკელაშვილმა მიითვისა. ნეტავ, რას ფიქრობდნენ, როცა საზღვარგარეთ ნამათხოვრალი და საზღვარშიგნით ცეცხლის ფასად გაყიდული პურის ფული შინ მიჰქონდათ?

დონორი ქვეყნები სურსათს გვიგზავნიან, თან გვარიგებენ, ძვირად გაყიდეთ, იქნებ თქვენი ბიუჯეტი როგორმე შეავსოთ და დეფიციტი მოსპოთო. აქ კი რა ხდება? პური ძვირად იყიდება, მაგრამ სახელმწიფოს ბიუჯეტი კი არა, კერძო პირთა ჯიბეები ივსება.

სხვათა შორის, უკვე არის იმის ფაქტებიც, როცა გაყიდეს მოსახლეობისთვის განაწილებელი კარაქი. ახლახან ამხილეს რუსთავის ვაჭრობის სამმართველოს, სახურსათო მაღაზიისა და ფირმის მუშაკები, რომლებიც განანაწილებულ კარაქს რუსულ ფულზე ჰყიდნენ სავაჭრო სალონშიც და კომერციულ ჯიხურშიც. თანაც როგორ, — კილოგრამს 18.000 რუბლად. დამნაშავენი აქ დააკავეს კიდეც.

ქრთამს უნდა ვებრძოლოთ

დასანანია, რომ ისედაც ამღვრეული წყალი კიდევ იმღვრევა. ასე ამღვრია წყალი ოზურგეთის პურკომბინატშიც. მისმა ძველმა დირექტორმა ენვერ ჰკუასელმა 1994 წლის 22-24 ნოემბერს ბათუმის პორტში მიიღო ჩვენი რესპუბლიკისათვის ჰუმანიტარული დახმარების მიზნით შემოტანილი 22,8 მილიარდი კუპონის ღირებულების 120 ტონა ფქვილი. ეს ფქვილი რაიონის მოსახლეობისათვის უნდა გაენაწილებინა. სინამდვილეში კერძო პირებს მიჰყიდა ერთი ტომარა 30.000 რუსულ რუბლად. რეალიზაციიდან მიღებული თანხის ნაწილი, კერძოდ, 15,2 მილიარდი კუპონი შეიტანა სალაროში, ხოლო 7,6 მილიარდი ჯიბეში ჩაიდო. ცხადია, ამ საქმეში ენვერ ჰკუასელი მარტო არ იყო. ყველაფერი კეთდება სხვა პირთა სამხილებლადაც.

როცა თავკაცები ასე იქცევიან, რიგითებსაც ეხსნებათ გზა უზნეობის ჩასადენად. თბილისში ვინმე ამირან კობზონაძეს უპოვეს ესპანეთიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული კარაქი, დავით მჭედლიშვილს კი — ამერიკიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული ბრინჯი. თანაც ტონობით, კილოგრამობით კი არა! საზღვარგარეთის ქვეყნები შეაძრწუნა ზოგიერთი ჩვენი უღირსი და უძღები შვილის საქციელმა. ამ ბოლო დროს ტვირთებს ხალხსაც აყოლებენ, რათა ადრესატამდე მივიდეს პური თუ შაქარი, ფქვილი თუ კარაქი და შუა გზაზე არ მოიპარონ, არ შესანსლოს ვინმემ.

ნელ-ნელა შემოდის კიდევ ერთი მაქინაცია, — ფულის დამალვა. თბილისში, მცირე საწარმო „ნიკედან“ ამოიღეს 870790000 კუპონი, რომელიც შარშან ნოემბერში დაუმალეს სახელმწიფოს, თელავში კი ფირმა „ავაზადან“ ამოიღეს 8767796200 კუპონი, რომელიც ასევე შარშან დეკემბერში დაუმალეს სახელმწიფოს. ეს ფული მხოლოდ ახლა შევიდა ჩვენს გამოფიტულ ხაზინაში. ვინ მოთვლის, რამდენი ამისთანა მმალავი და მძარცველი ჰყავს მარტო ხაზინას კი არა, საერთოდ, ქვეყანას. სამწუხაროდ, ბლომად!

ბონდო გულიაშვილი.

ქულათა მაქსიმუმით

დედაქალაქის ჭადრაკის სასახლეში შვეიცარული სისტემით (9 ტურად) მიმდინარეობს რესპუბლიკის 18 და 20 წლამდე ასაკის ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატები, რომლებიც გამოავლენს თანატოლთა შორის მსოფლიოსა და ევროპის პირველობების საგზურების მფლობელებს.

3 ტურის შემდეგ ქალთა ტურნირს ლიდერობენ ბათუმელი **დიანა დარჩია** და თბილისელი **მირანდა ხორავა** — 3-3 ქულა თითოეულს. ვაჟთა ასპარეზობაში ასეთივე შედეგით დაწინაურდა რუსთაველი **თამაზ გელაშვილი.**

ყურადღება!

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სოციოლოგიური კვლევის სამსახური სისტემატურად ატარებს გამოკვლევებს პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების რეიტინგის შესახებ. ბოლოს ასეთი გამოკვლევა ჩატარდა მარტის თვეში.

დაინტერესებულმა პირებმა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ინფორმაციისათვის მიაკითხეთ სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ სამთავრობო ბიბლიოთეკას. **მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი № 24. ტელ.: 22-37-05.**

მთავარი რედაქტორი ზურაბ ხონიაშვილი.